

რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო...

# რევიუ

№5 (68) 1.05.2015 - 1.06.2015

ფასი: 2 ლარი

შოთა რუსთაველი გამოცემა

თავისუფლების  
დაურსებაზე  
ხარვილი აღვალი  
ქვეყნის ეკრანი

ვ. 4



ვ. 9

ლიტერატური  
საჩემარი  
ჟიორნალი

შირ  
კინოსა და ტელე

80



ვ. 14

კულტურის იუნივერსიტეტი  
იუნივერსიტეტი -  
უკანასკნელი ძალისა  
ძალისა  
ძალისა  
ძალისა

ვ. 24



ISSN 1512-150X  
9 9 71512150002



ვ. 32

**საქართველოს პრეზიდენტის  
რეზიდენცია აღმასრულდება  
ბრძოლითა და დასასწაულზე  
სასაჩუალო ამასთაგი  
განახუავნა.**

**აქციის მხარეების შემთხვევაში იყვნენ  
რეზიდენციის და თითოეული  
რაზიალის ერთგული  
ადამიანები. დიდი რაზიალები:  
ავთალები ჩალაძე, ვიქტორ  
ორბეგია, ზაზა კაშიშვილი,  
ირაკლი მაგრაძევალიძე,  
ვალერი გრიგორიაშვილი.  
რეზიდენცია**



ავთალები ჩალაძე



ირაკლი მაგრაძევალიძე



ვიქტორ ორბეგია



ზაზა კაშიშვილი



ვალერი გრიგორიაშვილი



ვალერი გრიგორიაშვილი

# სარჩევი



ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა

უფალს, ჯვარზე აღსრულების

ლირი გაეხადა ..... 2



„თამარს ვაქებდეთ მეფესა“ ..... 3

თავისუფლების დაუოკებელი



სურვილით აღვსილი

ქვეყნისეპოპეა ..... 4



ხუთი ათეული წლის

გადმოსახედიდან ..... 6



ლირი ექვთიმე აღმსარებელი

კერესელიძე ..... 9

ამაოებამ თუ შეგანუხათ — მამა



გიორგი თევდორაშვილი ..... 13

ლირსეული საჩუქარი

ჭიორლებს — შიო (საშა)



რეცვიაშვილი ..... 14



ნერილი რედაქციას ..... 18



ფსიქოლოგიის როლი სამხედრო



საქმეში ..... 20



აუტი — გივი სიხარულიძე ..... 22

დროს რას უზამ, დროს —

გივი სიხარულიძე ..... 23



რაჭიდან იტალიამდე — იტალიის

გმირი - უკანასკნელი

ქართველი პარტიზანი

ლავრენტი ჯაფარიძე ..... 24



კადრებად გადაშლილი

ომის ქრონიკა ..... 26



1 მაისი - შემოპრუნების

დასაწყისი ..... 30



ომის ქარცეცხლი წედისში ..... 32



მრავალუამიერ, ჩემო მაია ..... 37



დაბრუნებული საუნჯე ..... 38

რა არის წინამდებარე

ჯირკვლის ანთება (პროსტატა)

და როგორ ვუმკურნალოთ?



თამარ იაშვილი ..... 40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რახევიაშვილი**

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

**პორჩა გურაშვილი**

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

**დალი ჯვარშვილი**

ტექსტი ააწყო

თამარ გოგიაძეა

მისამართი: თბილისი, ლესელიძის  
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟურნალი “რაჭელები”** ემიგრანტ

რაჭელებს და არა მარტო მათ,

გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს —

გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,

რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს

მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე

დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

## ნე. ანდრია მეურვალედ ჰესტერვა უფალს, ჯვარზე აღსაჩულების ღირსი გაეხადა

ნე. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მონაფე გახდა. მაცხოვრის გამოჩენისას, წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: „აჲა, ტარიგი ღმრთისაია“. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაპყვინენ იესოს. შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმოწაფა.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, „რაუამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუებული ხატით. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სიწმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვანლს შემდგარი, აკურთხა. წმიდა ანდრიამ გაიარა საპერძეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურნებულოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, „ვიდრემდის ყოველნივე მოაცივნა და მოიყვანა სარწმუნობად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დასვენა, „ფრიად შეენიერი და დიდი“ წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგენენ ქრისტეს მაცხოვნებელ სწავლებას. მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები და დიაკვენები. „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბიძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დაბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა ამ მთას „რკინის ჯვარი“). მოციქული შემდეგ სოფელ აწყურში მივიდა, რომელიც ადრე სოსანგეთად იწოდებოდა. ამ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. სწორედ ამ დროს მას შვილი მოპკვდომოდა. ქვრივს შეატყობინეს, რომ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც უცნობ ღმერთზე ლოცულობდა. ამ ცნობამ მას გულში იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან იხმო. წმიდა ანდრიამ ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძე მევდრეთით აღადგინა. გახარებულმა ქალმა მაღლობით იწმეუნა უფალი იესო ქრისტე, თავის შვილთან ერთად მოინათლა და სამცხის მთავრებს წერილი მისწერა, ამ ამბავს ატყობინებდა და ყველას თავისთან იხმობდა. „ვითარცა ესმა მესხთა ამბავი ესე საკვირველი, მსწრაფლ შეკრებეს ყოვლით კერძო



და იქმნა სიმრავლე ერისა ფრიადი“. მოვიდნენ საკერპოს მსახურნიც. ხალხი ორად გაიყო; ნაწილი იძახდა, „ჯერ არს თაყუანის-ცემად, რომელმა ესე ვითარი სასწაული აღასრულა“, სხვები კი კვლავ ცრუ ღმერთების ერთგული რჩებოდნენ. ცილობა რომ ჩაეცხროთ, გადაწყვიტეს, საკერპოში ღვთისმშობლის ხატი შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარი დაეხმოთ. წმიდა ანდრიამ აწყურში მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუებული ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყსოს განეშორა და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმთან ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და „დაპყვნენ დასავლეთით, განვლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე ჭოროხამდე“, იყვნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთში წავიდნენ „ხოლო დიდი ანდრეა სვიმონითურთ... შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და უქადაგეს სიტყუა იგი ღუთისმეცნიერებისა და მრავალთა სიხარულით შეინწყარეს ქადაგება იგი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სვიმონ კანანელი სხვათა თანა მონაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავიდა“. ჯიქეთის მკვიდრმა მოსახლეობამ არა მარტო უარი განაცხადა მისი ქადაგების მიღებაზე, არამედ მოციქულის მოეგლაც კი გადაწყვიტა. მათი სიჯიუტე და უხეში გონება რომ დაინახა, მოციქულმა მიატოვა ისინი და წავიდა. წმიდა ანდრია მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა. მდინარე დნეპრს აჲყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამა ქალაქი კივი მდებარეობს.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, პატრა (საბერძნეთი) იყო, წმიდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ ღვთაებისა. უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმიდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიელურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმიდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმიდანის მადლომოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოესნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრიამ მხერვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. შევთხოვოთ ჩვენს შემწესა და მფარველს წმიდა ანდრიას:

წმიდაო მოციქულო, მოციქულთა უპირატეს წოდებულო ანდრია, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სოფელსა მშვიდობა მოაწიქოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა!

# „თამარს ვაჟაბლათ გაფასა“



ქართველთა უზარმაზარი სამფლობელო დარჩა სრულქმნილ თამარს (1184-1210), რომელიც თუმცა ასაკით პატარა იყო, „ვითარცა ქალი იყო ქალთაგან უმშვენიერესი“. იგი იყო თავმდაბალი, გულმოწყალე, ტკბილად მოსაუბრე, თავისი ხალხისა და ქვეყნის პატრონი. უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ მოკრძალებული ცხოვრებით ცხოვრობდა.

თამარის გამეფების წელსვე სახელმწიფო საკითხებთან დაკავშირებით დაპირისპირება გაჩნდა. გაჩნდა სამოქალაქო ომის დაწყების საშიშროება, მაგრამ სიბრძნით სწორუპოვარმა თამარმა გონიერება გამოიჩინა და მოახერხა მონინააღმდეგეს მის წინაშე მუხლი მოეყარა, სანაცვლოდ კი თვითონაც მოუწია დათმობებზე წასულიყო.

1185 წელს მეფემ რუს უფლისწულ იურიზე (ანუ გიორგი) იქორნინა. ქართველებმა მისი სარდლობით მრავალი ირანული ქალაქი აიღეს. მოგვიანებით, გიორგის შეუწყნარებელი ხასიათის გამო, თამარი იძულებული გახდა ქმარს გაჰყროდა.

1189 წელს მეფემ მეორედ იქორნინა ოსთა მეფის ძეზე, დავით სოსლანზე. თამარსა და დავითს ვაჟი შეეძინათ მას გიორგი-ლაშა უწოდეს. ვაჟის დაბადება დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. დიდულოვანმა მეფემ დიდალი წყალობა გაიღო, მრავალი შესანირით გააქვთ ეკლესიები. ერთი წლის შემდეგ თამარსა და დავითს მეორე შვილი, რუსულანი შეეძინათ.

ქართველებმა მრავალ ბრძოლაში მოახერხეს გამარჯვების მოპოვება, ისინი იბრძოდნენ ძველი ქართული მიწების შემომტკიცებისთვის. რამდენჯერმე მარცხიც ინვნიეს, მაგრამ XIII

საუკუნეში მძლავრი ნაბიჯებით შემოდგეს ფეხი საერთაშორისო ასპარეზზე. ქართველთა აღზევებას არ ურიგდებოდა მაპმადიანური სამყარო და აქტიურად ემზადებოდა ქართველთა დასამხობად. მათ წერილიც გამოუგზავნეს ქართველებს, რომელიც ქრისტიანობაზე ხელის აღებასა და უომრად დანებებაზე მოუწოდებდა. თამარმა და დავითმა ჯარი საომრად განაწყვეს. პირველსავე შეტაკებაზე შედრენენ თურქები, მაგრამ ძლიერი ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ქართველებმა ბასიანში მაინც შეძლეს მტერზე გამარჯვება. მათ დიდი ნადავლი მოიპოვეს და თურქთა დროშები თამარის ფეხებთან დაყარეს. ბასიანის ბრძოლის შემდეგ საზეიმო განწყობილება სუფევდა საქართველოში. არ გასულა დიდი ხანი და გარდაიცვალა დავით სოსლანი. მგლოვიარე მეფემ თანამოსაყდრედ თავისი ძე, გიორგი-ლაშა დაისვა.

„მზე იგი მზეთა“ თამარი გახლდათ სამაგალითო ქრისტიანი, მან საეკლესიო საქმეებსაც მიხედა, რადგან ქრისტიანულ ეკლესიას ზნეობრივი რყევა შეამჩნია. აურაცხელი საბოძვარი გასცა ხალხისთვისაც. შენდებოდა ტაძრები, ციხესიმაგრები, ხიდები. გაჩნდა „თამარის ციხე“, „თამარის ხიდი“, „თამარის ხატი“, „თამარის ეკლესია“

თამარის გარდაცვალების თარიღად მეცნიერები რამდენიმე წელს ასახელებენ. მძიმე სენით დაავადებული მეფის გარდაცვალება მთელმა საქართველომ იგლოვა. ქვეყანამ დაკარგა დედა და დედოფალი სრულიად სახელმწიფოსა. ეს იყო კლასიკური ხანა საქართველოს ისტორიაში.

დღემდე თამარ მეფის ოთხი პორტრეტია შემორჩენილი. მათ შორის ერთ-ერთი ბეთანიის ტაძარს ამშვენებს.

XII-XIII საუკუნეების ქართული კულტურის, ვარძის მშენებლობის ისტორიაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა. ერთ-ერთი ეტაპი თამარის მეფობის დასაწყისია.

ეპთულება ეკლესიამ თამარ მეფე ცხვირისად შემორჩენილი. 14 მაისს მისი სასენაკის დღე საძართველოში საძართველოს ავტოკეფალის აღდგენილა, 1917 წლიდან აღინიშნება.

**მთელ საქართველოს ვულოცავი აა მაღლიან დღეს და ვუსურვებთ თამარის მსგავსი ვყოფილიყავით სიპრანი, უსავათავი ზეორგით, „უკლებელი გორებითა“ და ყველა სახა სიკათით.**

სოფიკო აბულაძე

# თავისუფლების დაუმკაგალი სურვილით აღვიტოლი ევენის ეპოზა



1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთებისმანიფესტიგამოსცა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კონონგმა ქართველ ხალხს ჯარით გარშემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული

მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაწესდა ცენზურა.

ქართველები უდრიტვინველად არ შეეცინა დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მნერლობაში ჰპოვეს ნავსაყუდელი.

ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.


„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, - ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე წახევრის ქართულ აზროვნებას. „ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს ივიწყებს“, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღივებას,

თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული უურნალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის



# თავისუფლება სულს ისე მოსწეურდა...



რუსეთმაც ამონურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამასწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზემოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯილა დარჩა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დორებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიმალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰყავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

მენშევიკებმა 1918 წელს მოიწვიეს სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამიცე ქვეყნის მართვა

უნდა ედო თავს. სეიმმა გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა „საჩუქარი“ მოუმზადა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს. საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა.

თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეიმის მრავალეროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რაღა თქმა უნდა, უშედეგო აღმოჩნდა. თავი იჩინა ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამაც: თუ საქართველო და სომხეთი ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მინა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორწმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამონურა, ქართულმა დელეგაციამ გამონახა გადარჩენის ერთადერთი გზა - დამოუკიდებლობა. საქართველო არ ცნობდა ბერსტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეგუებოდა ვითარებას.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალებისგან შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა.

აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: „ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადველო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკავუნა და როგორ არ შევეგბოთ ალტაცებით! თუ ეს წუთი გაუჟვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!..“

და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ენერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

# ხუთი ათეული წლის გადგრძელების



დავით კერესელიძე დაიბადა 1965 წლის 25 მაისს. 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის №117 საშუალო სკოლა. 1980-81 წლებში იყო ფეხბურთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი. 1988 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის, ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაგეგმვის სპეციალობით. მიერიჲა ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1993 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და განაწილებით დაიწყო მუშაობა „საქლითონბითუმ ვაჭრობის“ რესპუბლიკურ გაერთიანებაში ეკონომისტად. შემდგომ მუშაობდა სახელშეკრულებლო სამართლებრივ განყოფილებაში იურისტ-კონსულტანტად. 1992 წელს მუშაობდა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქლითონბითუმ ვაჭრობასთან“ არსებული საბროკერო ფირმა „ლითონი-1“-ში დირექტორის თანამდებობაზე. 1993 წელს დააარსა კონცერნი „კოდაკო“ მეგობრებთან ერთად, სადაც არჩეულ იქნა პრეზიდენტად. 1999 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად. 1999-2004 წლებში იყო რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის, რეგიონთა ეკონომიკური განვითარების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებითი კომისიის წევრი. 2001 წელს გახდა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენების“ დამფუძნებელი. იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი, მუდმივმოქმედი საპარლამენტო და საპარლამენტთაშორისო დელეგაციის წევრი. ამჟამად ბატონი დავითი დაკავებულია ლითონ-პროდუქციის იმპორტით საქართველოში. აქვს უძრავი ქონების ბიზნესი. არის შ.პ.ს. „უნიცენტრის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, დამფუძნებელი. ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.

## გილოცავთ

306 და როგორი პიროვნებაა დავით კარასელიძე, როგორ ყალიბდებოდა მისი ვაჟაცური ხასიათი, როგორი გუნდია არვს გას...

დავითი კათილგუცებოვანი და ქველოქმედია დამიანი. ის რაჭის ნიაღილა მოდის, უყვალს მამა-პაპის საძალე, მინა, ჰარი, წყალი, იკარგაზღვილა, მაგრამ სისხლის ყივილი მოსვენებას არ აძლევს. ფიქრი მუდამ რაჭის კეთილდღეობისკენ გაურჩის. იგი საუკეთესო მაგობარი, შვილი, მაულელი, მამა, ქმა, გიგა და გაგუა. გამორჩეული აძამიანი. ღონიერი რაჭული ფესვებიდან მოდის. მოყვასისაღვი სიყვარული, მათზე ზრუნვა, უღალაფობა წინაპრებისგან მავავილრეობით მოჰყვება.

### თანაკურაულები გვიაშშობენ

დავით კერესელიძემ, ჩემი სკოლის მეგობარმა შინაარსიანი და დატვირთული გზა განვლო. იგი გამორჩეული იყო პირველი ღირსებით, ვაჟაცობით, ტრადიციების პატივისცემით, ქველმოქმედებით. დათო კეთილშობილი პირვენებაა. ყველან გამორჩეული იყო, ლიდერისათვის საჭირო ყველა თვისება ჰქონდა: გონება, ნიჭი, გარეგნობა, ვაჟაცური თვისებები, მეგობრებთან ურთიერთობა, რაჭული სიდინჯე, წინდახედულობა და სამართლიანობა. დღეს ის წარმატებული ბიზნესმენი და ყოველმხრივ ღირსეული პირვენებაა. პირველი კლასიდან ვმეგობრობთ, პატარები რომ ვიყავით, რამდენი რამ არ ვიცოდით, რამდენი რამ იყო რთული ჩვენთვის, მაგრამ დათო მუდამ თითოეული ჩვენგანის გვერდით იდგა და ასეა დღემდე. იგი არის ჭეშმარიტი მეგობარი, რომელიც ყველას სიხარულს და გასაჭირს იზიარებს. მეგობარი, რომელიც ყოველთვის ყველაფერს ხვდება და უსიტყვოდ ესმის ჩვენი.

მართლაც რა კარგია, როცა ასეთი ადამიანის გვერდით გინევს ყოფნა, როგორიც არის ჩვენი დათო:

„არის წუთი როდესაც სულ არავინ გწამს,  
ის კი ჩნდება წუგეშად, როგორც ღვიძლი ძმა,  
გიალერსებს, გენდობა, შენ მხარდამხარ დგას  
მეგობარი მეგობარს უსუბუქებს დარდს.“  
ეს სიტყვები სწორედ, რომ დავითის სულს მიესადაგება.

რუსუდან შუბლაძე  
თანაკლასელი.



### კუსტომი რაჭითი

დავითი სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. იგი საქართველოს თექვსმეტწლამდე ასაკის ნაკრების კაპიტანი იყო ფეხბურთში. 1981 წელს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები იუნიორთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით. მახსენდება თამაშის დროს დავითი მოტეხილი ხელით როგორ გაუძღვა საქართველოს ნაკრებს რუსეთის ნაკრებთან საბრძოლველად და გამარჯვების გოლიც გაიტანა. შედეგიც აშკარად მეტყველებდა კაპიტანისა და გუნდის ბრძოლისუნარიანობაზე. იგი ნამდვილად ღირსეული კაპიტანი იყო. დინამოდან მოწვევაც მიიღო, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლა და შემდგომში ბიზნესსაქმიანობა დაისახა



## გილოცავთ

მიზნად, თუმცა კომპენსაცია იმით მოახდინა, რომ წლების განმავლობაში საფეხბუთო სკოლას „კოდაკო“ პატრონობდა, რომელიც 1997 წელს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. დღეს ეს გუნდი „ვიტ-ჯორჯიას“ სახელით ასპარეზობს. დავითი სპორტშიც ყოველთვის გამორჩეული იყო. ვინც მას პირადად იცნობს და მოედანზე მასთან ერთად უთამაშია, უეჭველად დამეთანხმება, რომ მისი დარი ფეხბურთელები ბევრი არ არიან. ფეხბუთი დღესაც მისი მოწოდება და ჰობია.

თანაგუნდელი და უახლოესი მეგობარი გოჩა ცოფურაშვილი  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

## ორი რაგოთი

მე და დავით კერესელიძე მეგობრები ვართ. 2000 წელს ერთობლივად დავაფურდეთ პოლიტიკური მოძრაობა „ახალი მემარჯვენები“ და იმ დღიდან ერთად მოვდივართ. მეგობრობაში და საქმეში უდალატო და ერთგული კაცია. ჩვენ არა მხოლოდ მეგობრობა, არამედ განვლილი პოლიტიკური გზის გამოცდილება და რაჭული წარმომავლობა გვაერთიანებს. იგი ჩემი მეგობარი და ღირსეული ქართველი მამულიშვილია.

დავით საგანელიძე  
საქართველოს პარლამენტის წევრი.  
უმრავლესობის ლიდერი.




## ჩვენი რათო

„გვიყვარდეს კაცნო ერთმანეთი“ — ეს არის დავით კერესელიძის ცხოვრების კრედო. რამხელა სიბრძნეა ამ სიტყვებში ჩაქსოვილი. ის არის კაცი, რომელიც სხვა ადამიანების სულის მესაიდუმლეა. ინვის სხვათა გასათბობად, გზის გასანათებლად — „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შენუხებული“. ასეთად დაიბადა და ცხოვრობს რაჭის ქომაგი და მოტრფიალე კაცი.

2015 წლის აღდგომას კერესელიძების დიდი ოჯახი მისი თაოსნობითა და შემწეობით წმინდა მინაზე შეხვდა. დავითი სანთლებით ხელში, წმინდა ცეცხლის გადმოსვლის დროს ჩუმად ლოცვად დავარდნილი წმინდანთა სულების წინაშე ჩურჩულებდა და შესთხოვდა განგების ძალას, ქართველთათვის სამარადუამოდ ტკივილის დავიწყებას, შვილთა სიმრავლეს, იარების მოშუშებას, მოძმის გატანას, უშურველობას, წრფელ გულს, სიკეთეს, სიყვარულს, ჩვენი ქვეყნის, საქართველოს დღეგორძელობასა და მზეგრძელობას.

„დადგა უამი ქართველთა სულის გამრთელების  
ჯვარი მოდის, ღმერთი მოდის, ივერიავ!“

უფალმა დალოცოს დავით კერესელიძე ოჯახთან ერთად. კურთხეული და ღვთისგან დალოცვილი ყოფილიყოს მისი სავალი გზა.



# ღირსი ექვთიმე ალესარებელი (კარასელიძე)

ღირსი ექვთიმე ალესარებელი (პერესელიძე) (1944); ღირსი ექვთიმე დიდი (473); მონამები: ინა, პინა, და რიმა (I-II); მიმღება მონამები: გასე, ევსები, ევტიმი და პასილიძე (303).



ღირსი ექვთიმე ალმსარებელი (ესტატე კერესელიძე) დაიბადა 1865 წელს რაჭაში, სოფელ სადმელში, სოლომონ და მართა კერესელიძეების კეთილმორწმუნე ოჯახში. სადმელის სამრევლო სასწავლებლის დასრულების შემდგომ რაჭაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო თხუტმეტი წლის ყმანვილი ესტატე გაემგზავრა ჯერ ქუთაისში, — შემდგომ თბილისში, სადაც ერთ-ერთი სასტუმროს მზარეულის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. აქ მან გაიცნო წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) ხაზინადარი და მოურავი, მაქსიმე როსტომის ძე შარაძე. მათ სხვა მორწმუნე ახალგაზრდებთან ერთად თბილისში დააარსეს უფასო „საღმრთო წიგნთ-საკითხავი“, რომლის მიზანი მოსახლეობაში მართმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება და ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა და გავრცელება იყო. „საღმრთო წიგნთსაკითხავს“ სულიერ ხელმძღვანელობას უწევდა წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე (1907).

ძველ ქართულ საეკლესიო გალობას საძმოს წევრები სწავლობდნენ ცნობილი მგალობლის, თავად მელქისედეკ ნაკაშიძისაგან, რომელიც ათონის წმინდა მთის ქართველთა სავანეში იყო განსწავლული.

1890-იანი წლებიდან მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ წმინდა ილია მართლის შუამდგომლობით შეიძინეს სტამბა, რომლის საშუალებითაც ინტენსიურად შეუდგნენ საღრმოთო წიგნების ბეჭვდვასა და

## ღირსეული წინაპარი

გავრცელებას. მაქსიმეს და ესტატეს მიმოწერა ჰქონდათ ათონის წმინდა მთაზე ქართველთა საგანის ბერებთან და მათგან ივერთა მონასტრის წიგნთსაცავიდან გადმოწერილი წმინდათა ცხოვრებასა და ქადაგებებს ღებულობდნენ, ბეჭდავდნენ და უფასოდ ავრცელებდნენ. მათ თავიანთი სტამბის საშუალებით ოცდახუთი წლის განმავლობაში დასტამბეს ოთხი ათასამდე სასულიერო შინაარსის სხვადასხვა გამოცემა. ხალხი სამართლიანად უწოდებდა მათ სტამბას „ბერების სტამბას“, რადგან იქმომუშავე ადამიანები გამოირჩეოდნენ კეთილმსახურებითა და წმიდა ცხოვრებით.

1981 წელს მაქსიმესა და ესტატეს ცნობილმა მომღერალმა და მუსიკოსმა ფილიმონ ქორიძემ ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა. ესტატე კერესელიძეს განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა და ამიტომ ფილიმონ ქორიძე მას ანდობდა საგალობელთა სანოტო ხელნაწერების გადათეთრებას.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობით გაუქმდას სავალალო შედეგები მოჰყვა: იძარცვებოდა და ნადგურდებოდა უძველესი



ესტატე კერესელიძე ბერად აღკვეცამდე

ეკლესიის ფასდაუდებელი საუნჯე. ქართული საეკლესიო გალობაც გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგა. საჩქაროდ უნდა გამონახულიყო ქართული საეკლესიო ტილოების დაფიქსირების გზა და საშუალება, რადგან ძველი საგალობო დამწერლობის მცოდნენი დღითიდლე მცირდებოდნენ და ეს მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური საგანძური სამუდამოდ იკარგებოდა. წმიდა მღვდელმთავარ გაპრიელის თაოსნობით 1884 წელს ქუთაისში დაარსებულმა ქართული გალობის აღმდეგნმა კომიტეტმა შეკრიბა ძველი ქართული გალობის მცოდნე სასულიერო პირები და ერისკაცნი. ფილიმონ ქორიძემ ათასობით საგალობელი გადაიტანა ნოტებზე, რომლის დაბეჭდვას საკუთარი ხარჯებით თავს იდებს ესტატე კერესელიძე და მაქსიმე შარაძე.

1907 წელს, წმინდაილიამართლის მონამეობრივი ალსასრულიდან ექვსი თვის თავზე გარდაიცვალა მაქსიმე შარაძე. ეს უდიდესი დანაკარგი ესტატე კერესელიძისათვის აუნაზღაურებელი დარჩა. დალონებულ ესტატეს განსაცდელი უერთგულესი მეგობრის დაკარგვისთანავე ენვია — მარტოდ დარჩენილ მოღვაწეს სტამბისა და მისი ქონების გაყოფას სთხოვდნენ; მისდა სავალალოდ, ქონების ჩამონათვალში უძვირფასესი ხელნაწერებიც შედიოდა, რომელთანანილიჩამოართვეს დაუცნობი მიმართულებით წაიღეს. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ სანოტარო კრებულები საქართველოს



გელათის მონასტრის ბერდიაკონი ექვთიმე 1910-იანი წლები



საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წინამდებარებული მოხვდა, რომლის ხელმძღვანელი იმხანად წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) იყო.

ესტატე კერესელიძემ მალე უურნალ „შინაური საქმების“ რედაქტორის, მღვდელმონამე სვიმონ მჭედლიძის დახმარებით სტამბა და ხელნაწერები

**ესტატე კერესელიძეს  
განსაკუთრებული ნიში და  
ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩვდა  
და ამიტომ ფილიმონ ქორიძე მას  
აღდოგდა საგალოპელთა სანოტო  
ხელნაწერების გადათათრებას.**

ქუთაისში გადაიტანა. სამწუხაროდ, არსებული მძიმე ვითარების გამო, მათი თანამშრომლობა ვერ მოხერხდა. ქუთაისში ესტატემ კვლავ სცადა სანოტო კრებულების დაბეჭდვა, მაგრამ უბინაობის გამო, გაიძარცვა ყუთები, სადაც დაბეჭდილი ფურცლები ინახებოდა და დამწუხრებულმა მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიაგნო ქუთაისის ბაზარში ხორცის გამყიდველთან. მალევე, ბახმაროში ყოფნისას, გარდაიცვალა დიდი მოღვაწე ფილიმონ ქორიძე. მთელი ოცდათი წლის ნაშრომი — ათეულობით ხელნაწერი — ექვთიმეს პასუხისმგებლობაში დარჩა. მხოლოდ მან იცოდა ამ საგანძურის ნამდვილი ფასი. ესტატე კერესელიძემ საბოლოოდ აირჩია მონაზენობის გზა, რომლისთვისაც სიყრმიდანვე განიმზადებდა თავს. მას სულიერ ხელმძღვანელობას უწევდა იმ დროის უდიდესი მოსანგრე, ღირსი მამა ალექსი შუშანია.

1912 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსის გიორგი ალადაშვილის კურთხევით ესტატე კერესელიძე

მორჩილად განწესდა გელათის მონასტერში, ხოლო ამავე წლის 23 დეკემბერს ღირსი ექვთიმე მთანმინდელის სახელზე ბერად აღკვეცა იღუმენმა ანთიმოზმა. 1913 წლის მაისიდან იგი იეროდიაკონია. ამ დროიდან იწყება მამა ექვთიმეს ყველაზე დაძაბული მოღვაწეობა. გელათი იყო ის ადგილი, სადაც ჯერ კიდევ ტიპიკონის სრული წესების დაცვით სრულდებოდა ღვთისმსახურება. მამა ექვთიმემ გადაწყვიტა, ზედმინევნით მოენესრიგებინა ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადატანილი საგალობლები და ტიპიკონის მიხედვით გაენყო. ამისთვის მრავლად შეიძინა სანოტო ფურცლები და შეუდგა უმძიმეს და უდიდეს საქმეს — ხელნაწერი ნოტების მოწესრიგებასა და გადათეთრებას.

1917 წელს ექვთიმე იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიერ ხელდასმული იქნა მღვდელ—მონაზენად. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო პიმნი, მისი ავტორის — კოტე ფოცხვერაშვილის თხოვნით, 1918 წელს მამა ექვთიმემ დასტამბა.

1921 წელს ქუთაისში კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე მამა ექვთიმე დააპატიმრეს, როგორც ახალი წყობისათვის არასაიმედო პიროვნება. საბედნიეროდ, ბრალდების არქონის გამო რამდენიმე თვეში იგი გაათავისუფლეს. ეს იყო უმძიმესი პერიოდი დევნისა და შევინროების; გელათის ბერები ყოველდღე ელოდნენ შეურაცხყოფასა და დარბევას. მღვდელ-მონაზონი ექვთიმე ამ წლებშიც კი აგრძელებდა საგალობელთა კრებულებზე მუშაობას. „მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდეს, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!.. მე ნარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროსმჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში

მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი ამაში ხელს ვურევ!“ — ამბობდა წმინდა მამა.

1923 წელს მთავრობის მიერ გელათის მონასტერი გაუქმებულად გამოცხადდა. მონასტრის წინამძღვარს, არქიმანადრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს, მისცეს რამდენიმე დღის ვადა, რათა ბერებს დაეტოვებინა მონასტერი. მამა ექვთიმები იმის შიშით, რომ საგალობელთა ხელნაწერები არ განადგურებულიყო, ორმოცამდე უზარმაზარი კრებული ქუთაისში საიმედო ოჯახში გადამალა.

1924 წელს კომკავშირებებმა საძირკვლამდე დაანგრიეს წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის, სახელობის საკათედრო ტაძარი. იმავე წელს უღმრთოთა ხელით დახვრეტილ იქნა ქუთათელგაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად, სასულიერო პირთა დევნა-განადგურების ისტერიამ პიკს მიაღწია.

მამა ექვთიმე იძულებული გახდა დაეტოვებინა გელათი და ხელნაწერები შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაეტანა. განსაცვიფრებელია, ასეთ დროს, როდესაც თბილისი-ქუთაისის გზაზე სრულიად უმიზეზოდ მოიკლა ათასობით ადამიანი, როგორ მოახერხა მამა ექვთიმემ ერთი ურემი ხელნაწერების ქუთაისიდან მცხეთაში მარტოდ-მარტომ გადატანა. ამ პერიოდიდან მლვდელ-მონაზონი ექვთიმე განწესებულ იქნა სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც საგულდაგულოდ გადამალა სასწაულებრივად გადარჩენილი ხელნაწერები. 1925 წელს, როდესაც საქართველოს

**მამა ეპთიმე იძულებული  
გახდა დაეტოვებინა გელათი  
და ხელნაწერები შედარებით  
უსაფრთხო აღგილას გადაეტანა.**

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი მეტეხის ციხეშია დატყვევებული, ხოლო საქართველოს ეკლესიის უკლებლივ ყველა მსახური საშინელ დევნას განიცდის, საღმრთო განგებულებით, მამა ექვთიმე კვლავაც აგრძელებს საეკლესიო გალობის იშვიათი ნიმუშების გადარჩენას. სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნთსაცავში მან მიაკვლია ძლისპირთა უძველეს ნევმირებულ კრებულს. ძველი ქართული სამუსიკო დამწერლობის საუკეთესო მცოდნე მოღვაწემ ეს საგალობლებიც ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადაიტანა.

1929 წლიდან ექვთიმე ზედაზნის მონასტერში განაწესეს. მან ახლა იქ აიტანა ქართული გალობის ხელნაწერები და დიდ რკინის ყუთებში საიმედოდ დაცული მინაში დაფლა. თბილისის „მეტეხის“



ზედაზნის მონასტრის იღუმეზი ექვთიმე 1930-იანი წლებში მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ბეთანიის ბერებთან — არქიმანდრიტ იოანე მაისურაძესა და გიორგი მხეიძესთან საუბრისას მწუხარება გამოთქვა ფილიმონ ქორიძის მიერ ჩანერილი ძველი ქართული საგალობლების დაკარგვის გამო და როდესაც მათგან შეიტყო, ხსენებული ხელნაწერები ზედაზნის მონასტერში იღუმენ ექვთიმესთან ინახება, იმავე დღეს ზედაზნის მონასტრისკენ გაეშურა.

შეიქმნა კომისია, რომელმაც ამ ხელნაწერების განსაკუთრებული ფასეულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა. მამა ექვთიმემ 1935 წლის ნოემბერში სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 34 სანოტო კრებული, რომელიც 5 532 საგალობლისა და რამდენიმე სასულიერო შინაარსის ხელნაწერისგან შედგებოდა. ყველა ეს საგალობელი ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

1944 წლის ზამთარში ზედაზნის მონასტერში მართო მცხოვრები მამა ეპთიმე სანახავად ასულ სამთავრობოს მონასტრის ძაღლების მიერთების უკეთესო მცოდნე მოღვაწემ ეს საგალობლებიც ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე დალოცა დაღები და მთვილობით შეპვებრა სული უფალს. იგი დაკრძალა ზედაზნის მონასტრის ეზოში, საკურთხევალთან.

## მამა გიორგი თევზდორაშვილი

### ამაღებამ თუ შეგაწუხათ...

მარტმა სიცივით თუ შეგაწუხათ, ლურჯი აპრილი თბილი დასატეთ ცოლმა წუწუნით თუ შეგაწუხათ, უკელა გრძნობები სახლში დასარჯეთ ბავშვმა თხოვნებით თუ შეგაწუხათ, ზომიერება უმაღლ ასწავლეთ ქვეუნის ხმაურმა თუ შეგაწუხათ, ცნობიერება მაღლით აღავსეთ.

გლასაკმა თხოვნით თუ შეგაწუხათ, უკვედრელობით შური აჭამეთ სევდამ უკროად თუ შეგაწუხათ, ცრუ სიეგარული ბირქვე დაამხეთ ბილწმა ფიქრებმა თუ შეგაწუხათ, გონება ქრისტეს სიტევით აღავსეთ ფარისევლობამ თუ შეგაწუხათ, ამშარტავნება კვირტში გაახმეთ.

მამულის ჭირმა თუ შეგაწუხათ, სარეველები ირგვლივ გამარგლეთ შშობლების კიცხვამ თუ შეგაწუხათ, შვილები მათი რჩევით აღზარდეთ მიცვალებულმა თუ შეგაწუხათ, ჯვართან სანთლები ცრემლით დაანთეთ უბერუებამ თუ შეგაწუხათ, ბედნიერებით გარეთ გააგდეთ.

უმაღურობამ თუ შეგაწუხათ, მაღლიერებით სული ახარეთ მოყვასის წინსვლამ თუ შეგაწუხათ, შური თვალიდან რისხვით განაგდეთ უიმედობამ თუ შეგაწუხათ, კაცის იმედი წამში ალაგმეთ სალსის განკითხვამ თუ შეგაწუხათ, სხვისი აუგი მშვიდად დაფარეთ.


სამშობლოს ბედმა თუ შეგაწუხათ, ფარი და ხმალი ლოცვით აღმართეთ უგუნიორობამ თუ შეგაწუხათ, გონიერება სიბრძნით ანასეთ უსულგულობამ თუ შეგაწუხათ, ადამიანი ზრუნვით გაათბეთ ამბიციებმა თუ თუ შეგაწუხათ, სიმდაბლით სიბლის კარი ჩარაზეთ

ნაუროვანებამ თუ შეგაწუხათ, მუცელი მკაფრი მარხვით დასაჯეთ ბიწიერებამ თუ შეგაწუხათ, აღსარებაში მოძღვანს გაანდეთ უნამუსობამ თუ შეგაწუხათ, სინდისით ულვაშს სელი წაავლეთ ამაოქბამ თუ შეგაწუხათ, სანახაობას ტაბუ დააღეთ.

ურწმუნოებამ თუ შეგაწუხათ, ჭეშმარიტების ცუცხლი აღანთეთ უწიგნურობამ თუ შეგაწუხათ, ბიბლიის ათი მცნება გამალეთ აზოსტასიამ თუ შეგაწუხათ, ჯვარცმულ მესიას ფეხი დაბანეთ ხორცის მონაბამ თუ შეგაწუხათ, სისხლის კოცონი ცივად ჩააქრეთ.

ფსევდო მესიამ თუ შეგაწუხათ, დაფნის გვირგვინი თავზე დაამსეთ თანამდებობამ თუ შეგაწუხათ, ეზოს ლაქია კარში გააგდეთ უფლის მახილმა თუ შეგაწუხათ, გულის კარები ფართოთ გააღეთ წუთისოფელმა თუ შეგაწუხათ, სასუფევლი -თქვენში დამარხეთ.

# ლიტერატურის მეცნიერებათა კულტურული



შიო რეხვიაშვილი

დაიბადა 1934 წლის 28

დეკემბერს. დაამთავრა  
უწერის საშუალო სკოლა  
და იმავე წელს ჩააბარა  
ქუთაისის პედაგოგიურ  
ინსტიტუტში ისტორია-  
ფილოლოგიის

ფაკულტეტზე,  
რომელიც დაამთავრა  
1959 წელს. სხვადასხვა  
დროს მუშაობდა  
ახალგაზრდობის  
რაიონული ორგანიზა-  
ციის ხელმძღვანელად,  
განათლების

განყოფილების  
გამგედ, რაიონული  
საბჭოს აღმასკომის  
თავმჯდომარის  
მოადგილედ. იყო ონის  
სკოლა-ლიცეუმის  
დირექტორი.  
ჰყავს ორი შვილი და სამი  
შვილიშვილი.

# საჩვენებელი ფილოლოგი შიო (საშა) რეხვიაშვილი



ნიგნი, რომელიც ახლახნა დაიბეჭდა ჭიორისა და ჭიორლების შესახებ ამომწურავ ისტორიას მოიცავს. ავტორმა შიო (საშა) რეხვიაშვილმა ძირფესვიანად აღწერა სოფლის ადგილმდებარება, ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა. აღსანიშნავია, რომ რეხვიაშვილების გვარის წარმოშობის შესახებ არაერთი ვერსია არსებობს. ბევრი რამ მითებისა და ლეგენდების დონეზე. აღნიშნულ ნარკვევში ავტორი ისტორიული, ეთნოკური, ენობრივი და ტოპონიმიკური ლოგიკით ჭეშმარიტებამდე მიახლოებას ცდილობს.

ბატონმა შიომ აპსოლუტურად მიზანშენონილად სცნო წიგნში შეეტანა კონკრეტული პიროვნებების მონათხრობი ამბები, რომელიც ნამდვილად უნდა შემორჩეს ისტორიას, აქვე ხაზგასმულია ფაქტი, თუ როგორ მტრობენ პატარა დებში მცხოვრებ საგინეთ ბაბუიშვილი (გოგრიჭანები) და ღუტალეენთ ბაბუიშვილი (რეხვიაშვილები) ერთმანეთს.

ცალკე თავი აქვს დათმობილი ჭიორში განათლების და კულტურის საკითხს. სადაც ამომწურავად არის ინფორმაცია სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლის შესახებ. აღნიშნულია დირექტორების გვარსახელები და სამოღვაწეო პერიოდი.

წიგნში მოთხოვნილია საგლოლო - საკანაფოების ახალი გზის გაჭრის ისტორია.

ავტორის კვლევის საფუძველზე მეორე მსოფლიო ომში 400 კაცი გაუწვევიათ. მათგან 180 მებრძოლი დაიღუპა. 220 კი ისევ თავის ოჯახს დაბრუნებია.

ისე, რომ წიგნი „ჭიორა და ჭიორლები“ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცემაა.

ავტორი ბატონი შიო რეხვიაშვილი უკვე 80 წლისაა. წიგნიც სწორედ მის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა. ეს ბატონი შიოს საჩუქარია ჭიორლებისათვის მიძღვნილი.

ვულოცავთ ბატ. შიოს 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, თავისი, ლამაზი ოჯახით ტკბობას და სიამოვნებას.

# რესპინშვილის ცერმონიაზები

## ამონარიზი ნიგნიზან „ჭირჩა და ჭირჩლები“

რეხვიაშვილების წარმომავლობა დღემდე შეუსწავლელია. ბევრი რამ ლეგენდებისა და მითების დონეზეა. ჩემს ნარკვეს ყოვლისმომცველობის პრეტეზია არა აქვს. მე მხოლოდ ისტორიული, ეთნიკური, ენობრივი და ტოპონიმიკური ლოგიკით ჭეშმარიტებამდე მიახლოებას ვცდილობ. შემდგომი კვლევის გაგრძელება მომავალი თაობის მოვალეობად დარჩეს.

ერთ-ერთი თქმულება ჩვენი წარმოშობის შესახებ უკავშირდება ჩრდილო კავკასიაში მდებარე პატარა მუსულმანურ სოფელს „შთვილს“. სადაც რახაითულები ცხოვრობენ. ამ თქმულებით, ერთ-ერთი რახაითული გადმოსულა და დასახლებულა დღევანდელი ჭიორის ტერიტორიაზე. აქედან წარმოიშვაო გვარი — რეხვიაშვილი. ეს მოსაზრება არ არის სწორი. ასეთი საკითხის კვლევის დროს, ჩვენ ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია ენის ფაქტორი: რეხვიაშვილებით ქართული ენის არმცოდნებულმანი შთვილელისგან მომრავლენენ და ალაპარაკდნენ ქართულ ენაზე, მაშინ ისინი უნდა დაუფლებოდნენ დების ან გლოლის კილოკავს. ჭიორლების მეტყველება და კილოკავი კი თავიდანვე აბსოლუტურად განსხვავდება როგორც ლების, ასევე გლოლის კილოკავისაგან. კაცმა რომ თქვას, ლები უფრო განიცდიდა ჩრდილოკავკასიურ გავლენას. მაგალითად, ადამიანთა სახელებში იქ გვხვდება: ოყა, ზურყანა, ზაურდა, ნაგროზა, გზალო, გრიგოყო და სხვა. ჭიორაში მსგავსი არაფერია. აქ ადამიანთა სახელები აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურია: დავითი, თედო, ელისა, თებროლე, მარიამი, ბასილა, გრიგოლი, ალექსი, იასონი, ვასილი, შიო და სხვა. ასევე აქ გვხვდება ძირძელი ქართული ტოპონიმები: ურიში, ლენინი, დალვენტილი, სათომე, საკანაფოები, თელნარი, ბართუ, ნონარა, ბანასეული, მოლისა და სხვა. ჭიორლების ქართულ მეტყველებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია XIX საუკუნის მოღვაწეს, სწავლულისა და პატრიოტის იოანე ხელაშვილის მოსაზრება, რომელიც შეშფოთებულია თბილისში სომხეური კილოკავისა და ინტონაციის მოძლიერების გამო. იოანე თავის მონაფეს სოლომონ დოდაშვილს წერდა: „თბილისს დაეუფლა სომხეური კილოკავი. აღნიშნულთან დაკავშირებით თქვენ, ქართული ინტელიგენცია უმოქმედობას იჩენთ. მოიარეთ საქართველოს მთიანეთი, ნახეთ ენა ჭიორელთა, შეუფარდეთ იგი საშუალო ბარის ენას, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ქართულ სალიტერატურო ენას“. (წყარო — 1967 წლის გაზეთი „სახალხო განათლება“).



### ჭირჩა და ჭირჩლები

შორის (სარა) რახაითული

შთვილში რახაითულთა შესახებ ჩემი მოსაზრება ასეთია: ჩრდილოკავკასიასთან ზემო რაჭას და განსაკუთრებით ლებს, ჭიორასა და გლოლას, ჰქონდა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო და კულტურული ურთიერთობანი. დაფუძნებული იყო „კერძობისა და სხვისი შეილობის ინსტიტუტი“, რაც ნიშნავს ოჯახებს შორის ხანგრძლივ სტუმარმასპინძლობას. ჩემს ბავშვობაში (ომის პერიოდში), მახსოვს, ზაქარა რეხვიაშვილის (სეხნენი) სახლის აინის პირველ სართულზე იჯდა უცხო კაცი — ფეხსაცემელების შემკეთებელი. ვინ არის მეტე, ვკითხევასოს — ზაქარიას შვილიშვილს. ჩვენი კერძიაო, მიპასუხა. სულ მაინტერესებდა სიტყვა „კერძის“ მნიშვნელობა. გვიან კი მივხვდი, რომ ნიშნავდა მომხრეს, კერძოს, ოჯახის მეგობარს. ამ მეგობრობის დანიშნულება იყო ერთმანეთთან ხანგრძლივი სტუმრობის ტრადიცია, ე. ი. როცა ჩრდილო კავკასიაში მთის რაჭველები გადავიდოდნენ, ხანგრძლივი სტუმრობისთვის თავიანთ „კერძებთან“ მივიდოდნენ, მათთან ცხოვრობდნენ. ისინიც ასევე, აქ, ჩვენთან, ოჯახებში ხანგრძლივი და შეუზღუდავი ცხოვრების უფლებით სარგებლობდნენ.

დაახლოებით იგივე იყო სხვისშეილობა. სხვისშეილად ითვლებოდნენ მოჯამაგირედ წასული წამოზრდილი ყმანვილები, რომლებიც დასაქმებული იყვნენ მწყემსმობით, ხელობის შესწავლით, იყვნენ დამხმარე მუშად მჭედელთან, დურგალთან, კალატოზთან და ა. შ. ყმანვილკაცობისას ასე წასულა მოჯამაგირედ ჩრდილო კავკასიაში ბაბუაჩემი, შიოს უფროსი ძმა „ბუქა“ სეხნო. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მისთვის სამსახურისთვის, მოზვრები მიუციათ. ეს მოზვრები გამოიუგზავნია ჭიორაში. ოჯახს კი ისინი სეხნოს დედულებში — სოლოლანეენთში გაუნათხოვრებია ყანებს მოსახნავად. მოზვრები ზედმეტი შრომით დახოცილან. ეს ამბავი სეხნოს ყურადღე რომ მისულა, კვლავ გაუგრძელებია მოჯამაგირეობა ახალი გასამრჯელოს მოსაპოვებლად. კიდევაც მოუპოვებია უდელი ხარები. გადმოუყვანია, გაუყიდია და ასე დაუწყია პირუტყვით ვაჭრობა. სეხნო მალე გამდიდრდა და სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო სახლის მშენებლობა. დაიქირავა ბერძენი კალატოზები და 1860 წელს ჭიორაში პირველმა მან ააშენა არა დუროიანი ციხე-კოშკი, არამედ მრგვალ ფარჯერებიანი, ევროპული სტილის აივნიანი სახლი (ჩვენი ძველი სახლი).

აქედანგამომდინარე, რეალური იქნება ვიგულისხმოთ, რომ ალბათ, შთვილაში მოვაძმა გირედ გადასული ჭიორელი ყმანვილი დარჩა საცხოვრებლად, ასაკში შესული ახალგაზრდა დაქორნინდა იქაურ გოგონაზე მომრავლდნენ რეხვიაშვილები ანუ, იქაურ ენაზე — რახაითულები. აღნიშნულს ადასტურებს ეთნოგრაფი სპარტაკ რეხვიაშვილი. იგი ჩრდილო კავკასიაში მოგზაურობის დროს შთვილელებს გასაუბრებია. სპარტაკმა პირადად მითხრა, რომ ამ გასაუბრების დროს რახაითულებმა თქვეს — „ჩვენ თქვენგან ვართ წარმოშობილიო“.

მაში, საიდან არის ჩვენი გვარის წარმომავლობა?

საქართველოში „რეხას“ სახელწოდებით სამი სოფელია: ერთი — დამაისის, მეორე — ნალექის, მესამე გორის რაიონში. ჩვენი ვარაუდით, საქართველოს ძნელებდობის უამს, დიდი თურქობის, მონღლობის, უფრო ხვარაზმელ თურქენებთან 1225 წელს გარნისის ბრძოლაში მარცხის შემდეგ, ჯალალედინმა სასტიკად ააოხრა ქვემო ქართლი. მოსახლეობა იძულებით გაიხიზნა მთებში. გადმოცემით, ჩვენი წინაპარიც მისულა სვანეთის მთავართან (მთის რაჭა ანუ „მთიულეთი“ ხომ სვანეთს ეკუთვნიდა) და საცხოვრებელი ადგილი უთხოვია. სვანეთის მთავარს ღების მოურავისთვის მიუნიშნებია, რომ მისთვის „მწიორის“ (ხრიოკი ადგილი) მიდამოებში გამოეყო დასასახლებელი მინა. ქართული ენის გრამატიკული კანონებით „მწიორიდან“ წარმოიშვა სოფლის სახელი „ჭიორა“. ტერმინი „ჭიორა“ მაინც შესასწავლია. არსებობს ხონჭიორი, მანჭიორი. არ ვიცი ტერმინი „ჭიორის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში. ყოველივე აღნიშნული ხდებოდა მე-13 საუკუნის 30-იან წლებში. ერთი საუკუნის შემდეგ, მე-14 საუკუნის 30-იანი წლებიდან, უკვე არსებობს ისტორიული დოკუმენტი — წიგნი „სასიხლო საქმისა ბალს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“. „სასიხლო წიგნის“ აღდნენერილობის შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

ჭიორის წარმოშობის შესახებ არსებობს სხვა ვერსიებიც.

პირველი: სპარსეთის შაჰმა შემოუთვალა საქართველოს მეფეს, უნდა გამომიჭედო ისეთი ხმალი, რომ ჰაერში ბერეს ჭრიდეს, თორემ სულ აგაოხრებო. მეფე საგონებელში ჩავარდა და ბოლოს, ერთ-ერთ მჭედელს, რომელსაც რეხვია ერქვა, შეუკვეთა ასეთი ხმლის გაკეთება. მჭედელმა გამოჭედა რამდენიმე ხმალი და ბოლოს, მართლაც გამოუვიდა ისეთი, როგორიც სპარსეთის შაჰმა მოისურვა. მჭედლობაში მასავაჟიშვილიც ეხმარებოდა. მაგრამ ახლა, თვით საქართველოს მეფემაც მოისურვა, მისთვისაც გამოჭედათ ასეთივე ხმალი. ბევრს ეცადნენ მამა და შვილი, მაგრამ აღარ გამოუვიდათ ბასრი იარალი, როგორიც სპარსეთის მეფისთვის გამოჭედება. შეშინდა მჭედელი, იფიქრა, მეფე არ დაუკერებდა და სასტიკად დასჯიდა, გაუნადგურებდა ოჯახს. ამიტომ ჯერ მთელი ოჯახი იმერეთში გაგზავნა და მერე თვითონაც გაიქცა. მაგრამ ვერც იმერეთში გაჩერდა. იცოდა, თუ მოინდომებდა მეფე იქაც მოძებნიდა. ამიტომ თავისი ოჯახით რაჭის ერისთავთან შეაფარა თავი, თუმცა აქაც ვერ იყო მშვიდად. რაჭის ერისთავის სანადირო ადგილი იყო ჭიორის ჭალა და ერთხელ სანადირო

მიმავალს მჭედელიც თან გაუყოლებია. მჭედელს ძლიერ მოსწონებია ჭიორის ჭალა და რადგან ერთგულად ემსახურებოდა ერისთავს, მის შეკითხვაზე, რას მთხოვ ჩემგან ერთგულების სანაცვლოდო, უპასუხნია: — სხვა არაფერი მინდა, ჭიორის ჭალა მაჩუქე, რომ იქ დავესახლოო. ერისთავს მისი თხოვნა აუსრულებია. მჭედელი დასახლებულა იმ ადგილას, სადაც წყაროა. ჭიორის სანახობიზე (მთემელები: ნუნუ ლომსიანიძე-რეხვიაშვილისა და ჯემალ რეხვიაშვილი — გუტენთი)

მეორე ვერსიის შესახებაც მათ მიამდეს: „ან განსვენებულმა ისტორიკოსმა, მკვლევარმა მიხეილ რეხვიაშვილმა გვიამბორ, რომ არსებობს ნაშრომი, რომლის ავტორიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია. იგი ამტკიცებს, რომ სოფელი დაუკარსებია ქართლიდან გამოძევებულ, განპატიუებულ, შერისხულ ბაგრატიონის, რომელიც მეფეს სასიკვდილოდ ვერ გაუმეტებია, გამოუყოლებია ამალა და გამოუშვია რაჭაში. ჩვენი ვარაუდით, ბაგრატიონი სოფელ რეხას მფლობელი ყოფილა. აქედან წარმოიშვა რეხვიაშვილების გვარიო“. ამ ვერსიას ამყარებს ეკლესია „კვირაცხოველი“, რომელიც მთიდან ამაყად გადმოჰყურებს სოფელს. იმ პერიოდში კვირაცხოვლის სახელობის ეს ერთადერთი სალოცავი ყოფილა მთელ დასავლეთ საქართველოში. სავარაუდოდ, ეკლესის ეს სახელწოდება ქართლიდან გადმოჰყვათ ბაგრატიონებს. ამასთან, რეხვიაშვილებს არასოდეს ჰყოლიათ ბატონი, ისინი თავისუფალი გლეხები იყვნენ.

ამ ვერსიებში არსებობს რაღაც ლოგიკური კავშირები ჭიორის წარმოშობასთან დაკავშირებით, რომლის დეტალებზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ჯაფარიძეთა სასისხლო წიგნის შედგენას წინ უსწრებდა სვანეთის ერთი ხევის ამბოხება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამბოხებულთა მორჩილებაში მოყვანა რაჭისა და ლეჩებუმის ფეოდალებს დაევალათ. ამ ბრძოლაში სვანებს ორი ჯაფარიძე შემოაკვდათ. ამის გამო ჯაფარიძეებმა მთლიანად გადაუკეტეს სვანებს საქართველოს სხვა კუთხებთან დამაკავშირებელი გზები. მათ გაუქირდათ საარსებო საშუალებების მომარაგება და იძულებული გახდნენ ბოდში მოხსადათ. ამავე დროს, სვანებმა სთხოვეს მეფეს, დახმარებოდა ჯაფარიძეებთან შერიგებისა თუ მორიგების საქმეში.

ერთიანი საქართველოს მეფემ, ალექსანდრე პირველმა (დიდმა) ეს თხოვნა შეისმინა და 1433 წელს მიიღო სამართლებრივი გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც, რიონის სათავეში არსებული ტერიტორია თავისი მოსახლეობით, ანუ „მთიულეთით“, სვანეთს ჩამოეჭრა და რაჭის საერისთავოს გადაეცა. განაჩენის სიგელში მოცემულია გადაცემული სოფლების და იქ არსებული წაგებობის ჩამონათვალი. სხვა დასახლებულ პუნქტებთან ერთად რაჭის საერისთავოს გადაეცა სოფელი ჭიორა 14 ციხით (იგივე დურიოიანი სახლი).

აი, ეს არის ჩვენთვის საინტერესო ფაქტი! პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა პერიოდში უნდა მოესწროთ ჭიორლებს 14 კოშკის აშენება?

როგორც ავლიშნეთ, 1225 წელი საქართველოსთვის მძიმე იყო: გარნისის მარცხიანი ბრძოლა, ჯალალედინის უსასტიკესი დარბევები, მოსახლეობის გახიზვა

# ამაგდარი



შიო და სულიკო (პანა) რეხვიაშვილების ოჯახი

მთებში. აი, საფუძველი ჩვენი წინაპრის მცდელობისა, რის შედეგადაც, სვანეთის მთავრის ნებართვით, მას დასახლების უფლება მოუპოვებია დების დაბლა (რიონის მარცხენა) ტერიტორიაზე. საგებით ლოგიურია, გარნის ბრძოლიდან ალექსანდრე მეფის სამართლის წიგნამდე, საუკუნენახევრის განმავლობაში 14 ციხე ანუ დუროანი კოშკი აეშენებინათ. ამდენად, რომ ჭიორის ისტორია იწყება მე-13 საუკუნის 30-იანი წლებიდან.

ჭიორის ძნელად მისადგომ გორაკებზე დღესაც შეინიშნება პირველ ციხეთა ნანგრევები. ამ მიდამოს მოსახლეობა „ნაციონალის“ ეძახის.

სამი ციხე ყოფილ გუმბაგად: ერთი აღმოსავლეთის, მეორე დასავლეთის, ხოლო მესამე ჩრდილოეთის მხრიდან, ე. წ. „ვორიკუნა“. ნაციხარებს ჩრდილოეთით ურიშისა და ნლუს ტყეები ესაზღვრება. ეს ტყეებიც დაცვის ფუნქციას ასრულებენ.

ერთ-ერთ გამიჯნულ ტყეს „მჭედლის ტყეს“ უწოდებენ. ზემოთ მოყვანილ გადმოცემებსა და ლეგენდებში მჭედლთან დაკავშირებით დეტალურად გვქონდა საუბარი. ამდენად, საფუძვლიანია ვივარაუდოთ, რომ პირველად მოსული ჩვენი წინაპარი მჭედლი უნდა ყოფილიყო.

მჭედლობასთან დაკავშირებით წინა ლეგენდის მცირედ განსხვავებული ცერსიაც არსებობს: მჭედლი მამა-შვილის გამოჭედილი ხმალი პატონს დაუწენებია, ურთიერთშელაპარაკება მოსვლიათ: „ამ ხმალს რა აქვს დასაწუნიო“, უთქვამს მჭედლს, გაბრაზებულს ხმალი მოუქნევია თავადისთვის და თავი მოუკვეთია. სწორედ ეს გამხდარა გამოქცევის მიზეზი. როგორც აღვინიშნეთ, მათ შეუქმნიათ თავის დასაცავი ციხესიმაგრეები და მახლობლად სამჭედლო გაუმართავთ. ტყეს კი სახელად „მჭედლის ტყე“ შემორჩა.

ახლანას, 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ოთხორმეულის პირველი ტომის VI თავში, 115 გვერდზე ავტორი — დავით მუსხელიშვილი, როცა ხეთურ-ქართულ საკონტაქტო ზონას ახასიათებს, ავლებს რა ხეთების წინამორბედ — პროექტებს და ქართულ ტომთა შორის ენობრივ ლექსიკურ პარალელებს, მოჰყავს ასეთი მაგალითები: ხეთურად — „ვან“, ქართულად — ლვინო; ხეთურად — „ურემ“ — მჭედლი და ქართულად

— „ურო“ ხეთურად „თეთე“ და ქართულად — დიდი.

ჩემთვის აქ საინტერესოა „ურემ“ და „თეთე“. ზემოთ ვახსენე „ურიშის ტყე“. თავად მჭედლის ტყე ურიშს ეკუთვნის. მთლიან მიდამოს, ტყეს და მინდორს „ურიშს“ ვეძახით.

„თეთე“-საგან წარმომდგარი არის სიტყვა „თენთეგა“. ჩემს ბავშვობაში, ლებშიც და ჭიორაშიც, ხშირად ხმარობდნენ „თენთეგას“ ნაქეზების მიზნით: შენ ჩემი თენთეგა ხარ ე.ი. ძლიერი ხარ, ღონიერი ხარ, არ შეშინდე, ეჭიდე ან ეჩხუბე ამასო! „თეთედან“ წარმომდგარია ასევე სიტყვა „თენთვად“ ე.ი. ბევრი. მაგ.: „ქალაკოდა იშოვება?“ — პასუხი — „უჟ, თენთვად“. ან კიდევ: — „ხაჭაპურში თენთვად (ე.ი. ბევრი) ჩაურთე ხაჭო“ და სხვა.


საოცარია, ძ. წ. III ათასწლეულამდე მაცხოვრებელი ხეთების წინაპრების ანუ პროხეთებისა და ქართველ ტომთა საკონტაქტო ლექსიკური ტერმინები მთის რაჭის სოფლებში, ლესა და ჭიორაში, დღემდევა შემორჩენილი.

„თენ-თე“ და „ურეში“ სხვაგან არსად მსმენია. აქაც, ამ ლექსიკურ პარალელებს დავინიშების ელფერი ადევს.


საქართველოში „რეხას“ სახელწოდებით გავრცელებული სოფლები მაფიქრებინებს: სიტყვის ფუძე ხომ არ უკავშირდება უძველესი ისტორიის პერიოდში მესოპოტამიაში არსებულ ქალაქ ნინევის გვერდით მყოფ „რეხობოთ“ ქალაქს? დღევანდელი ისტორიული მტკიცებულებებით დგინდება, რომ კაცობრიობის ისტორია დაიწყო შუამდინარეთიდან. ისტორიულად, ერთ-ერთ პირველ ერად მიიჩნევენ შუმერებს. ამ მოსაზრებას იზიარებს მსოფლიოს მრავალი მეცნიერი, მათ შორის ამერიკელი სემუელ კრამელი, რომელიც წერს: „ისტორია იწყება შუმერიდან“. ერთიც: ბიბლიის ძველ აღთქმაში მოხსენებული არიან პერსონაჟები — რეხუმი და რეხობი. მამა-შვილი რეხუმი და რეხობი სირიის მეფის მრჩევლები იყვნენ. როდესაც მეფე კიროსმა ებრაელებს საკურთხევლის ალდგენაში დახმარება აღუთქვა, სირიის მეფის მრჩევლებმა კიროსს წერილი მისწერეს და ურჩიეს: ასეთ დახმარებაზე ხელი აელო.

ჩვენთვის აქ საინტერესოა ჩვენი გვარის „რეხვიაშვილის“ და „რეხუბისა“ და „რეხობის“ ფუძეთა თანხვედრა.

# ნარილი ნაბეჭდიას



22.04.2015



აი სოფლები, -  
სად ჯერ კიდევ ამოდის კვამლი!  
აი, სოფლები, -  
სად არამცოუ შვება-ხალისის,  
არამც თუ ხმევა  
აღტაცების ეიჟინის მმლავრის,  
არამცოუ „ლალე“  
ხეობაზე ჩავლილი მგზავრის, -

ვლიან დღეები  
და, - უბრალოდ, ეივილი მამლის,  
უბრალოდ, -  
მაღლის ექვან არ იხმის!

მ. ლებანიძე

რედაქციაში მოსული ცენტრული სერიალი მუსავან ლეგანიძის მიერ ასახულ  
პროგრამას ეხმაურება. ავტორი მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლაბას, ქვეყ-  
ნის პრემიერს და პრეზიდენტს და მიუთითობს უციკალური მდებარეობის მართ-  
სოფალ მრავალქალზე, თუ რა სახის იცვლას სტუდიურა შეიძლება განვითარდეს  
სოფალში ტურიზმის ხელშეყობისათვის, რაც გულისხმობს სოფალში ყოფილი  
სკოლის შენობის სასტუმროდ გადაკეთებას.

იმაზე სახალმწიფო ან კერძო ინცესტორი დაინტერესდება აღნიშვნელი  
შეთავაზებით, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნადაღგმული ნაბიჯი იქნება  
რეგიონის განვითარებისათვის.



კოლეგის მიერ გდებარეობს  
რაჭაში, რეის რაიონის სოფალ  
მრავალქალზე, რომელიც  
4.5 კეპტარზეა გადაკიდებული.

# რეგიონი

საქართველოს პრემიერ – მინისტრს

## ბატონი ორაკლი ღარიშაშვილს

საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის უფროსს

## ბატონ გიორგი ჩოგოვაძეს

რაჭა – ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორს

## ბატონ პაპუნა მარგველიძეს

### ბატონები!

მოგესალმებით ონის მუნიციპალიტეტის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები.

სოფ. მრავალძალი არის ალპური ზონის დასახლება, რომელიც საქართველოში დასახლების სიმაღლით ზღვის დონიდან სოფ. უშგულის შემდეგ მეორე (1800მ) ადგილზეა.

იმისათვის, რომ სოფლის მიგრაცია შეჩერდეს, მოსახლეობა გაძლიერდეს და გამრავლდეს, მიგვაჩნია რომ საამისოდ სოფელში ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია.

1991 წლის 29 აპრილს, როგორც თქვენთვის ცნობილია, ძლიერმა მიწისძვრამ რაჭა-იმერეთში და ასევე მრავალძალში თითქმის ყველა ნაგებობის ნგრევა გამოიწვია.

რაჭის მამულიშვილების დიდი ზრუნვით მოხდა სრულიად დანგრეული მრავალძლის წმინდა გიორგის სალოცავის აღდგენა, ამჟამად სალოცავი მოქმედია.

ასევე სტიქიის შედეგად დაინგრა სოფლის სკოლის ნაგებობა, რომელიც მდებარეობდა სოფლის თავში და არქიტექტურულად ამშენებდა სოფელს. ვინაიდან დღეისათვის სოფელს არა ჰყავს სკოლის ასაკის ბავშვები ამ დიდებულ ადგილზე მიზან-შეწონილია აშენდეს მრავალადგილიანი სასტუმრო-პანსიონატი, რაც დაამშენებს და გააძლიერებს რაჭის ამ უძვირფასეს სოფელს. ეს სკოლის შენობა კარგად სჩანს მიწისძვრამდე გადაღებულ ფოტოზე.

სოფელ მრავალძალში მოსული ტურისტებისთვის ძალიან მომხიბელები იქნებოდა ადგილობრივი ჯანმრთელი ჰავა და ბუნება, უნიკალური ხედები. სოფელში აქტიურად ეწევიან მესაქონლეობას, მეღვინეობასა და მეხილეობას. მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობს 4,5 ჰექატრის სიდიდის უნიკალური ტბა თევზებით, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას რეგიონში.

გთხოვთ თქვენს კეთილგანწყობას.



მიწისძვრამდე გადაღებული ფოტოსურათი

სოფ. მრავალძლის მკვიდრთა სახელით

რეზო სხირტლაძე.

ტელ: 599 92 15 84

# ოსეპოლოვის როლი სამხედრო საქამიანო

ქართული ჯარი ვითარდება, მაგრამ მის პარალელურად, ნაკლებად ვითარდება სამხედრო ლიტერატურა, რომელიც ჯარისკაცებს თეორიულ ცოდნას გაულრმავებს. ამ ფონზე მისასალმებელია ახალი წიგნის გამოცემა — „ფსიქოლოგიის როლი სამხედრო საქმეში“, რომელიც ფსიქოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა თამარ ბაკურაძემ შესთავაზა საზოგადოებას.

„საზღვარგარეთის ქვეყნები და ასევე ჩივენს ლიტერატურაში შექმნილია შრომები, რომლებიც ეძღვნება პროფესიული ფსიქოლოგიური შერჩევის პრობლემას. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მცირეა ფუნდამენტური შრომები, რომლებიც ახსნიან პროფესიული ფსიქოლოგიური შერჩევის არსა სამხედრო სპეციალობაში და გააშუქებენ მის პრინციპულ საკითხებს. ამ პრობლემის კვლევა მოითხოვს მისდამი კომპლექსურ მიდგომას. მართალია, იგი ჩივენს წინაშე დგას, როგორც ფსიქოლიგიური პრობლემა, მაგრამ მისი გადაწყვეტისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პედაგოგიკის, სოციოლოგის, მედიცინის, სამხედრო სპეციალობის საფუძვლების ცოდნა“, — წერია შესავალში. წიგნში მოცემულია ისეთი საინტერესო საკითხები, როგორიცაა განაწყობის როლი პროფესიის არჩევაში, პირადი შემადგენლობის ფსიქოლოგიური მომზადება, ნიშანთა სისტემა სამხედრო საქმეში, მეომარის ხასიათის



თამარ ბაკურაძე  
ოჯახთან ერთად

თავისებურებანი და ა.შ.

თამარ ბაკურაძეს მრავალწლიანი გამოცდილება აძლევს იმის საფუძველს, რომ ღრმა ანალიზი გაუკეთოს ყველა ამ სანოტერესო თემას და ჯარისკაცების ფსიქოლოგიურ მომზადებაში თავისი წვლილი შეიტანოს. ის 1978 წლიდან ატიურად მუშაობს თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო აკადემიაში, სხვადასხვა უნივერსიტეტში, სწორედ ფსიქოლოგიის მიმართულებით და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე აქვს ყოველი თეორიული მასალა მომზადებული. გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა 30-ს სცილდება. გამოცემული აქვს 2 მონოგრაფია: „სამხედრო ფსიქოლოგია“ (1999წ.) და „მუსიკის სემანტიკური მნიშვნელობის ფსიქოლოგიური დახასიათება“ (2006 წ). უნდა ითქვას, რომ თამარ ბაკურაძის მეორე სპეციალობა ხელოვნებაა. მას დამთავრებული აქვს თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოს სპეციალობით. თუმცა, მისი ძირითადი პროფესია ფსიქოლოგიაა და ამ მიმართულებით წარმართა კიდეც საქმიანობა. „ფსიქოლოგიის როლი სამხედრო საქმეში“ საინტერესო სახელმძღვანელოა. წიგნის რედაქტორი ლ. მილდიანი. ცნობილია, რომ ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერება გახდა, ამდენად, ეს წიგნიც თავის სათქმელს ზუსტად ამბობს...

თეა მოსია

## ესატვარი და ფალკანი



### ავთანდილ (ორბეგი) რეზონაზვილი

ქ. თბილისის ჩემპიონი;  
საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში;  
საქართველოს პრიზიორი დიდებში;  
საქართველოს სპარტაკიადის პრიზიორი;  
საქართველოს პროფსაბჭოს II პრიზიორი;  
საკავშირო დინამოს ცენტრალური საბჭოს პრიზიორი;  
მედიცინის მუშაკთა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი საკავშირო მასშტაბით;  
ხარკოვში, დონეცკში, ომსკში, ლენინგრადში საკავშირო ტურნირების პრიზიორი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;  
კარპატების ჩემპიონი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში;  
უკრაინის II პრიზიორი კლასიკური სტილი;  
საქართველოს ნაკრების ნევრო;  
საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი;

უნდა ითქვას, რომ სიტყვა ინტერნატი ჩვენს საზოგადოებაში რატომღაც უარყოფით ასოციაციას იწვევს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ გლდანის სპორტულ სკოლაინტერნატს ეს ერთგვარი უხერხულობა არ შეხებია, თუნდაც იმიტომ, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული სპორტის განვითარებაში. ამ სასწავლებელმა სამშობლოს აღუზარდა საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალი ჩემპიონიდა პრიზიორი, დამსახურებული მწვრთნელები და საერთაშორისო კეტეგორიის მსაჯები.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სპორტის აკადემიის (ფიზკულტურის ინსტიტუტის) მსგავსად გლდანის სპორტინტერნატმაც ლომის წილი დაიდო იმაში, რომ საქართველოს სპორტსმენებმა მსოფლიოს აჩვენეს ქართველი ვაჟუაცებისა და ასულების წიჭი და ძალა, სიკონტაცე და სინარნარე.

გლდანში, ვაჟუაცთა ამსამჭედლოშიჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეეულშულიდან ჩამოიდონენ მხარებჭიანი, ჯანღონით სავსე ბიჭები, რომელთაგან ბევრი, როგორც ვთქვი დიდი სპორტსმენი გახდა. ბევრმა კი სპორტი გაიხადა ცხოვრების მუდმივ მეგზურად.

ერთადერთი ასეთი ინტერნატ დამთავრებულია რაჭის სოფელ ჭიორაში დაბადებულგაზრდილი ავთანდილ(ნოდარ) რეხვიაშვილი. მეზუთე თუ მეექვსე კლასელი იყო, მწყემსად რომ „ეკურთხა“, სწორედ მაშინ, როცა საქონელი მინდორში ჰყავდა გადენილი. ერთი მოზრდილი, საკმაო სიმძიმის ლიპი ქვა შეამჩნია და ემანდ რომელიმე ჩლიქოსანმა შორს არ გადააგოროსო, ბუჩქებში დამალა. ყოველ ასვლა- ჩამოსვლაზე კი იქიდან გამოიღებდა და თავს ზემოთ აწევდა. მალიმალ მუსკულებზეც დაიხედავდა ხოლმე, ცოტა ხანში ჯიჯაფეხა (ხის საჭრე- ლი დაბრია) ასწია და ახლა იმას გადაეკიდა, უმაღვე დასტაცებდა ხელს და ზემოთ ასწევდა.

აი, ასე, მინდორ-მინდორ ნავარ- ჯიშები, დაკუნთული ჭიორელი ყმანვილი თბილსში ჩამოიყვანეს და გლდანის სპორტულ სკოლაინტერნატში საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვა- ლოდია მაისურაძეს მიაბარეს, ძალა ერჩის და ეგება მისგან კარგი მოჭიდვეც დადგესო.

გამოცდილ მწვრთნელს ვა- ლოდია მაისურაძეს მოეწონა დაუ- დეგარი ყმანვილი და დაიწყო მწვრთნელისა და შეგირდის მონო-



ნოდარ რეხვიაშვილი  
დედასთან და დასთან ერთად

ტონური ვარჯიში. ცოტა ხანში ქალაქ თბილისის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში, შემდეგ სსრკ „დინამის“ საბჭოს პრიზიორობა მოიპოვა. ამავე დროს საკავშირო მასტაბით, მედიცინის მუშაკთა პროფესიონელების ჩემპიონიც გახდა. ყველას აჯობა კარპატების ოლქის პირველობაზე. ირიცხებოდა სსრკ ჭაბუკთა ნაკრებ გუნდში. სპორტის ოსტატი ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილი ასპარეზობდა როგორც ბერძნულ - რომაულ (კლასიკურ), ისე თავისუფალ ჭიდაობაში.

სპორტთან ერთად ავთანდილი ხატვამაც გაიტაცა და მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა.

სხვათა შორის, რაჭიდან წამოსული სპორტსმენი და მხატვარი ისე გაინაფა და ისეთი ნიჭი გამოამჟღავნა, რომ ფერწერაში ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის ლაურეატობა მოიპოვა.

შემდეგ, სამშობლოს სიყვარულმა მისი თავდაცვაც მოსთხოვა ავთანდილ

რეხვიაშვილს და მანაც იარალი დაიჭირა ხელში. კეთილსინდისიერად იმსახურა საქართველოს სამხედრო ძალებში, იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს მუშაკი, სამხედრო საზღვაო ძალების კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე, ფოთის სამხედრო საზღვაო ძალების კადრების განყოფილების უფროსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის, სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე, შემდეგ კი უნივერსიტეტის სამიქალაქო თავდაცვის ციკლის უფროსი მასწავლებელი. მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ლო- ჯისტიკის მართვის ცენტრში კანცელარიისა და კადრების განყოფილების უფროსად და უზრუნველყოფის სამმარ- თველოს უფროსის მოადგილედ.

სამხედრო აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუ- თრებული წვლილისთვის ორჯერ ვადაზე ადრე მიენიჭა კაპიტონისა და მაიორის სამხედრო წოდება.

ავთანდილ (ნოდარ) რეხვია- შვილი კვლავ სპორტითა და ხელოვნებით ცხოვრობს, ოლონდ საჭიდაო ხალიჩის ნაცვლად ნაძვნარში მსუბუქად ვარჯიშობს და იქვე ტყისა და ცის სილამაზე ქალალდზე გადააქცეს.



# გივა სინარულიძე

## აუთი

2006 წლის მაისი. საღამოს ხუთი საათია. მე მძიმე ნაბიჯებით ავუყევი კიბეს. ჩემი მეგობრის ბებია გარდაიცვალა, მშვენიერი გარეგნობის ქალბატონი, არისტოკრატიის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰკანთაგანი.

კიბეზე უამრავი ადამიანი ადის და ჩამოდის. ჩემი მეგობარი საქართველოში ცნობილი ბიზნესმენია.

ყოველთვის მიკვირდა, მის ოჯახში, ამ მეცნიერების ტაძარში, აკადემიკოსების და პროფესორების გვერდით, ეს ვაჭრუკანა საიდან მოვიდა. ამას წინათაც ვეუბნებოდი ხუმრობით, — ეტყობა ვიღაც შენი წინაპარი გილდიის ვაჭარი იყო-მეტეი.

როგორც იქნა მეხუთე სართულზე ავედი. დამწუხრებული შევედი სამძიმარზე. როცა ჩემს მეგობარს თვალი ვერ მოვკარი, იქვე შავი ყვავებივით ჩამომსხდარ ნათესავთაგან ერთ-ერთს ვკითხე: — კახა სად არის?

— ბოდის გიხდით, მაგრამ კახა ერთი-ორი საათი არ იქნება. ამ დროისათვის ბენდუქიძის აუზზე აქვს აბონემენტი და ვერ გააცდენდა. შევცბი, მაგრამ არ შევიმჩნიე და თვალებით ამდენ ყვავ-ყორნებში კახას დედას დავუწყე ძებნა.

როცა თვალი ვერ მოვკარი, ისევ იმ შავოსანს მოკრძალებით მივმართე: — ქალბატონი რუსუდანი სად ბრძანდება?

— ვიფიქრე, დედის გარდაცვალების გამო, ტირილისგან დალლილი, ალბათ რომელიმე ოთახში რამოდენიმე წუთით გავიდა და ისვენებს — მეტეი. შენც არ მომიკვდე. ქალბატონი რუსუდანი თურმე სტილისტთან იყო წასული თმების დასავარცხნად. მეორე დღეს დაკრძალვა იყო და ლამაზდებოდა.

მივხვდი, დედა-შვილს გარდაცვლილისთვის არ ეცალათ და ახლა კახას მამა მოვიძიე თვალებით. შავოსანი თავად მიმიხვდა ჩანაფიქრს და უკვე წრეზე წასულს შემომძახა:

ალბათ ბატონ შოთას ეძებთ.

— დიახ, ქალბატონო,


— ბოდიშს გიხდით, მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მიტინგზე გახლავთ.

უცებ მივხვდი, რა დღეშიც ჩავვარდი. დავიბენი, აღარ ვიცოდი, ვისთვის მიმესამძიმრებინა. გულდანყვეტილმა მეგობრის ბებიის ცხედართან მუხლზე დავიჩოქე, მერე გაციებულ ხელზე ვეამბორე და მონიერებით ჩავჩრდებულე: — შე ჩემსავით ყველასაგან მიტოვებულო და მობეზრებულო. ვიზიარებ შენს გარდაცვალებას...

ერთმა შაოსანმა მეორეს გადაულაპარაკა: — ეტყობა ტვინში აქვს გარეკილი.

მეორემ კი, უფრო თავის თავზე გაპრაზებულმა მიუგო: — გარეკილი და გიუ ეგ არ არის, ჩვენა ვართ, ბუებივით რომ ჩამოვმსხდარვართ სკამებზე. მომსვლელთაგან კაციშვილი არ გვცნობს, ალბათ ფიქრობენ ოჯახის წევრებს ჰეკიდიათ ფეხზე გარდაცვლილი და ესენი ვიღას დაჰკარგვიანო.

— ვა, გივი ძია, პრივეტ, — ამ სიტყვებით ბურთი ჩემს დასანახად მუხლზე დაიგდო, აქაოდა, ნახე, რამდენჯერ ავკენნლავო. უცებ ბურთი მუხლიდან ასხლტა, მის საყვარელ დიდ ბებიას, რომელსაც სიცოცხლეში ბიჭზე მზე და მთვარე ამოსდიოდა, პირდაპირ თავში მოხვდა და ის იყო



რიკოშეტით გვერდზე უნდა გადავარდნილიყო, რომ ბიჭმა მიუსწოდა ისევ მუხლი შეაშველა. სიტყვებით, — ვა, ბებო, ფეხბურთშიც რა მაგარი ყოფილხარ, ეს რა პასი ჩანოდეო.

უცებისეგავბრაზდი, შუაზემინდოდა გამეხლიჩა ეს ნაძირალა, მაგრამ მის უდარდელ სახეს რომ შევხედე, რომელიც ბების „პასით“ მიყენებული სიამოვნებისგან უბრნყინავდა, ჩემთვის გიუივით ჩავილაპარაკე, — ამ საწყალს, პასი მაინც ერგო შვილიშვილისგან წილად. მე შეიძლება ჩემმა შვილიშვილებმა პირდაპირ აუტში მომისროლონ — მეთქი და კიბეზე ისე დავეშვი, თითქოს უკვე აუტში ვიყავი გადასროლილი.

## დროს რას უზამ, დროს

შუალამეა. ოთახებში დავბორიალებ. ვერა და ვერ ვიძინებ. ხან რას მივედ-მოვედები, ხან რას. მერე, რატომდაც, ფოტოების ალბომი მახსენდება... ვიწყებ თვალიერებას. ვხვდები, რომ ამ ალბომივით გავცვდი და დავპერდი. ახალგაზრდობის დროინდელი სურათები ისე შემომცქერიან, თითქოს მსაყვედურობენ, სიბერეს არ მპატიობენ. ჩემდაუნებურად წამომცდა: — მე რა, ცოცხალი მაინც ვარ, იმათ რაღა ჰქნან, მარტი მოგონებადღა რომ შემორჩენიან ალბომს.

— ამათ რაღა ქნან? — ჩამესმა ყურში, თითქოს ფოტოებმა გამცეს პასუხი.

— ჩვენ იმდენი სიბრძნე აღმოგვაჩნდა, რომ ამ ამაოებას, როგორც სცენას დიდი მსახიობები, დროზე გავცლოდით, ვიდრე შენსავით სტვენას დაგვიწყებდნენ.

— მე ვინდა დამისტვენს. — ჩავილაპარაკე ნაწყენმა.

— დრო, ჩემო კარგო, დრო, რომელსაც რახანია ჩამორჩი და ცხვრის ფარას მოწყვეტილ, დაუძლურებული და დაბერებული ძალივით ადევნებიხარ მხოლოდ.

ამ სიტყვებით შეძრულმა ალბომი სასწრაფოდ დავხურე და კარადის უჯრაში ჩავუძახე. ის იყო, უნდა შევბრუნებულიყავი, რომ ხმა შემომესმა: — მე კი დამხურე და ზიზღით მომიშორე, მაგრამ დროს რას უზამ, დროს!

— თუ მართლა ჩამოვრჩი, დავენევი!

— დაწევისა რა მოგახსენო, მაგრამ მეშინია, არ გაუსწორ, შე საცოდავო,

— კვლავ გაისმა საიდანლაც.

— გავუსწორებ კიდეც, თუ მოვინდომებ!

— ესე იგი მარტო იქნები.

— რატომ მარტო, ვისთანაც მინდა იმასთან!

კვლავ ვიღაცის ხითხითი ჩამესმა:

— რა ხანია მარტო ხარ, მარტო!

— მარტო რატომ ვარ, შვილები და შვილიშვილები მახვევია,

მათით ვხარობ, ვლალობ. ესაა სიმარტოვე?

— სწორედაც რომ მარტო ხარ, მაგათაც აღარ აინტერესებ, უბრალოდ ეცოდები და ხანდახან მშიერ ძალს ხორცისგან გალოკილ ძვალს რომ მიუგდებენ, ისე გადმოგიგდებენ ხოლმე ალერსს.

— მაშ, შენი თქმით, სულ აღარავის ვუნდივარ? აბა, ხან ტელეურნალისტები, ხან უურნალ-გაზეთების კორესპონდენტები რომ არ მასვენებენ და მოწინებით მთხოვენ ინტერვიუებს, ეს არაფერია?

— სწორედ მაგას არ გსაყვედურობ, შე გამოჩერჩეტებულო ბებერო? ველარ გაიგე, რომ ამათთვის მხოლოდ და მხოლოდ ძველი დროების გახსენება ხარ და სხვა არაფერი?! კაცს რომ მარტო იმისათვის იყენებენ, ვიღაც ან რაღაც გაიხსენონ, დამთავრდა მისი ცხოვრება.

— არა, არ მჯერა თქვენი, უბრალოდ გშურთ, ცოცხალირომ ვარ, თქვენ კი, სამწუხაროდ, გარდაიცვალეთ.

— გარდაცვლილი შენა ხარ თვითონ და ვერ ხვდები, გარდაცვალება ის არის, როცა სადღაც ხარ, მაგრამ იქ არავის სჭირდები. ჩვენ კი, ჩვენს სამარადისო მკურნალთან, დედამიწასთან გავმიწიერდით, სული კი უფალს მივუძლვენით ზეცაში. აი, ნამდვილი ნეტარება და ადამიანის სრულყოფა. მანდ, თქვენთან ყოფნა კი სრული ილუზიაა.

ამ სიყვებით აფორიაქებულმა ფანჯარაში გავიხედე. თავზე დამთენებოდა. აი, მაშინ კი გამარჯვებულმა წამოვიძახე:

— მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე, მარტო ამისთვის!

შემდეგ აივანზე გავვარდი და მთელი ძალით გავყვიროდა:

— მარტო ამ ერთი მზის სხივისთვის ღირს სიცოცხლე, ხალხო, მარტო ამისთვის!!!



# ჩატილენ ისრაელიაძე

იტალიის გაირი -  
უკანასკნელი ქართველი  
პარტიზანი  
ლავრენტი ჯაფარიძე



20 წლის იყო როცა მშობლიური  
რაჭიდან ომში გაიზვიეს

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 66 წელიწადი გავიდა, მაგრამ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები ევროპაში დღესაც ახსოვთ და პატივს მიაგებენ.

ჩრდილოეთ იტალიის თითქმის ყველა სკვერსა და სეივანში ნახავთ კვიპაროსებზე მიკრულ პატარა



ლავრენტი ჯაფარიძე ოჯახთან ერთად

დაფეხს, რომლებიც გვამცნობენ, რომ ეს ხე იტალიის თავისუფლებისთვის მებრძოლი მეომრის სახელის უკვდავსაყოფად დაირგო.

როცა იტალიაში ყოფნისას ქართველ პარტიზანებზე უურნალისთვის მასალის მომზადება გადავწყვიტე, პირველი, ვინც გამახსენდა, იტალიის ეროვნული გმირის, ფორე მოსულიშვილის საცოლე ტერეზინა მოტა იყო. ქართველების სარძლო ცოცხალი აღარ დამხვდა, თუმცა ერთ პარტიზანს მაინც მივაგენი. ის იტალიის გმირია, მაგრამ საქართველოში, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის მისი არსებობა...

ვერბანის მხარეში (პიემონტის რეგიონი, იტალია) ლავრენტი ჯაფარიძეს თითქმის ყველა იცნობს.



საბჭოთა საქართველომ ქართულ-იტალიური ოჯახი არ მიიღო

ის 92 წლისაა და ალბათ უკანასკნელი ქართველი პარტიზანია ევროპაში.

20 წლის ლავრენტი მეორე მსოფლიო ომში ამბროლაურის სოფელ ლარიდან გაიწვიეს... ის

# მშობელ მიწაში მიღებას ფესვები



ლავრენტის ეზოში პატარა სარაჭაო მოუწყვია, სადაც ბოსტნეული თავის ხელით მოჰყავს. მოსავალს ძეზობლებსაც უწილადებს.


იტალიელ პარტიზანებთან ერთად ჩრდილოეთ იტალიის ალპებში ებრძოდა ფაშისტებს.

1944 წელს ლავრენტი ჯაფარიძე ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა და სიკვდილს იტალიელმა მედდამ მარია პერონმა გადაარჩინა. ქართველი მებრძოლის მხსნელი მალე მისი მეუღლე გახდა.

ჩემმა სტუმრობამ და ქართული სიტყვების გაგონებამ ბატონი ლავრენტი ააღელვა... ენა დაება და ქართულ-იტალიურად ალაპარაკდა.

ლავრენტი ჯაფარიძე: - მთაში ბრძოლების დროს ხელში დამჭრეს. მარიამ მიმურნალა, სიკვდილს გადამარჩინა და ჩემი სიცოცხლე მას მივანდე... შეგვიყვარდა ერთმანეთი და ქორნილი პარტიზანულ გარემოში გადავიხადეთ.

ფრონტის ხაზზე გადახდილი ქორნილის შემდეგ იყო ფაშიზმზე გამარჯვების სიხარული და მშობლიურ რაჭაში დაბრუნების სურვილი, თუმცა საბჭოთა



სამშობლოს სიყვარულის გამო იტალიის მოქალა-ქეობაზე უარი სთევა და ქართული პასპორტი აიღო

სისტემისთვის ლავრენტი ჯაფარიძე მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან მას იტალიელი მეუღლე და 2 შვილი ჰყავდა, ამიტომ საქართველოში ჩამოსვლის უფლება, ისიც - სტუმრის სტატუსით, ჯაფარიძე-პერონის ოჯახმა პირველად 1969 წელს მიიღო.

ლავრენტის მეუღლე მარია პერონს, რომელიც არგენტინის პრეზიდენტ ხუან-დომინგო პერონის (სახელგანთქმული ევიტა პერონის მეუღლე), ბიძაშვილია, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის იტალიის გმირის წოდება მიანიჭეს. ვერბანის ერთ-ერთი ქუჩა და სკოლა ამჟამად მის სახელს ატარებს.

ახლახან იტალიის მთავრობამ ლავრენტისა და მარიას კიდევ ერთი ჯილდო მიანიჭა ფაშიზმთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის.

ლავრენტის ორი შვილი ჰყავს - ლორენცო და ჯულიანა, რომლებიც ვერბანიასა და მილანში ცხოვრობენ. ლავრენტი წუხს, რომ ღმერთმა შვილი-შვილები არ მისცა და იტალიაში ჯაფარიძეების გვარი მისი შვილებთ დასრულდება.

ჩემი მასპინძელი განსაკუთრებით გაახარა ჩვენგან მირთმეულმა ხაჭაპურმა. იტალიური ღვინით საქართველოს სადღეგრძელოც შესვა...

ლავრენტი ჯაფარიძე: - ძალიან გემრიელია ხაჭაპური. მონატრებული ვიყავი და მადლობა ასეთი სიამოვნებისთვის. საქართველოს გაუმარჯოს (იტალიაში გატარებული 72 წლის მიუხედავად, ლავრენტი ჯაფარიძეს სამშობლო არ დავიწყებია.



სიგელი, რომელიც 2011 წელს იტალიამ გადასცა


მან იტალიის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა, და არაერთ პრივილეგიაზე მოუხდა უარის თქმა. სამაგიეროდ, საქართველოს მოქალაქეობითა და ქართული პასპორტით ამაყობს)! უარი ვთქვი იტალიის მოქალაქეობაზე, მე ქართველი ვარ და ქართული პასპორტი მაქვს. სულ ჯიბით დამაქვს ქართული საპუთები.

სახლთან ახლოს მოწყობილი ბოსტანი მოხუცს მშობლიურ რაჭას აგონებს. მიუხედავად ასაკისა, ბაღჩას საგულდაგულოდ უვლის, ბადრიჯანს, პომიდორს, ოხრახუშსა და სხვა ბაღჩეულს მეზობლებსაც უნანილებს. მთხოვა, თუ კიდევ ჩამოხვალ იტალიაში, თუნდაც ერთი პეშვი ქართული მინა ჩამომიტანეო, რასაც დიდი სიამოვნებით შევუსრულებ.

ლავრენტი ჯაფარიძე: - ეს ბოსტანი სამშობლოს მაგონებს.

აქ რომ ვსაქმიანობ, ფიქრებით რაჭაში ვარ და ჩემი სიყმანვილე მიდგას თვალწინ...ოღონდ ჩემს მინაზე მელირსოს ფეხის დადგმა და თუნდ მაშინვე მოვკვდე. არაფერს დავეძებ, ოღონდ ჩემი წინაპრების გვერდით დავიმარხო!..

გიორგი ბერიძე




# კაზახები გადაულის მაის ძალის

რ. ჩხეიძის რეჟისორობით გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა“ — ეს არის სურათი, რომელიც მორია მსოფლიო ომის ერთიანების ასახვას. ამითომ, სონები მაისის თვეში გადავხევით მოგვემზადებით მასალა ამ ფილმის და მისი რეჟისორის შესახებ, საიდანაც ვფიქრობთ ჩავრ საინტერესო ფაქტს შევიტყობთ, თუ როგორ მიმდინარეობდა გადაღების პროცესი და როგორ შეარჩიას როლისთვის მსახიობი სარგო ზაქარიაშვილი.

„ბატონ სერგოს არ შეეძლო როლის „თამაში“. ის მთელი არსებით განიცდიდა თავისი გმირის სიხარულსა და მწუხარებას და ამის გამო უდიდეს სტრესს იღებდა. ასე მოხდა „ჯარისკაცის მამის“ გადაღების დროსაც. მრავალჯერ ნახვის შემდეგაც კი შეუძლებელია ფილმის ბოლოს მამისა და მომაკვდავი შვილის შეხვედრის სცენის უცრემლოდ ყურება. ისენებს სურათის რეჟისორი რეზო ჩხეიძე.

რეჟისორმა სერგო ზაქარიაძეს საგრიმოროში მიაკითხა და ფილმი გადაღება შესთავაზა. ზაქარიაძემ შინაარსის მოყოლა მოსთხოვა. მანაც დაიწყო. როდესაც ხსენებულ სცენას მიადგა, მსახიობმა გრიმის გაკეთებას თავი მიანება და დაძაბულმა იკითხა: - მერე, მერე? - ბოლოს კი ცრემლით სავსე დიდრონი თვალებით მიუბრუნდა და ჰკითხა, - როგორ, კაცო, რას ამბობ, მოკვდა?!



რეზო ჩხეიძე

იმ წუთში სერგო ზაქარიაძემ რეალურად გადაიტანა შვილის სიკვდილი, - იგონებს რეჟისორი. რეზო ჩხეიძე იმ სცენის გადაღებასაც იხსენებს, სადაც გოდერძი მახარაშვილი შვილის პოვნის იმედით ტანკების კოლონას აედევნება. მსახიობი იმდენად იყო ატანილი მონატრებულ „შვილთან“ შეხვედრის სურვილით, რომ ლამის ქვეშ უვარდებოდა უზარმაზარ საბრძოლო მანქანებს. რამდენჯერმე გადაღებაც შეწყდა, რადგან შეშინებულმა სამხედროებმა შეაჩერეს ტანკები, რომ მსახიობი არ გაესრისათ.

ვისაც ფილმი უნახავს, არასოდეს დაავიწყდება ის მამაპაპური ალიური, რითაც რიგითი გიორგი მახარაშვილი უმასპინძლდება რუს ჯარისკაცს, მის დასაცავად გამოვარდნილ ოფიცერს კი საყელოთი დაითრევს და გინებასაც მიაყოლებს, რადგანაც მათ ბრძოლის ველად ქცეულ გერმანულ

ქალაქში ვიღაცის მაღლიანი ხელით გაშენებული ვაზი გაანადგურეს.

ფილმი 1964 წელს, 51 წლის ნინ გადაიღეს, ხოლო ამბავი რომელიც დიდ სამამულო ომის ქრონიკას ასახავს 70 წლის ნინადელია. 1945 წელს მსოფლიომ ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა.

მილიონობით დაღუპული ადამიანი, დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქალაქები და სოფლები. მსოფლიომ მაშინ დიდი მსხვერპლი გაიღო. საქართველოდან ომში წასული 700 000 ჯარისკაცი და 400 000-მდე დაღუპული ჯარისკაცი.

ყოველწლიურად ომის ვეტერანები სულ უფრო

## კიდევაც დაზრდებიან



ცოტანი რჩებიან და ძალიან ცოტაა იმ ადამიანთა რიცხვიც, ვინც მათ ამ გამარჯვებას ულოცავს.

რატომ გაუფერულდა 9 მაისი საქართველოში, ვისი სურვილით ჩავაბარეთ კომუნიზმისა თუ საბჭოთა კავშირის ისტორიას მეორე მსოფლიო ომი და რატომ არის საქართველოს სამოციქულო ეკლესის კალენდარში შეტანილი 9 მაისი? უურნალი „რაჭველები“ „ჯარისკაცის მამისა“ და „ლიმილის ბიჭების“ რეჟისორს, რეზო ჩეხიძეს ესაუბრა:

- ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, არ მესმის რატომ გავრცელდა შეხედულება საქართველოში, რომ 9 მაისის აღნიშვნა არ გვინდა, როდესაც მთელი მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვებას აღნიშნავს, და რომ ეს ჩენი მო არ იყო. მე შევეცდები, ჩემი დამოკიდებულება მოგახსენოთ ამის შესახებ. მე მგონია, რომ მონაწილეობა მსოფლიო ომში, როდესაც ერთ მხარეს იდგა ფაშიზმი, რუმინეთისა და იტალიის არმიები ამ შავბნელი ძალის დამარცხება, რომელსაც მსოფლიოში უდიდესი უბედურება მოჰქმნდა, სხვისი მო არ ყოფილა. ეს არ ყოფილა რომელიმე ქვეყნის ლოკალური ომი, და ამ ომში თურმე, საქართველოც მონაწილეობდა და თითქოს საქართველოს ამ ომში მონაწილეობა ფიქტიური იყო.

როდესაც ბერკლას უნივერსიტეტში აჩვენეს „ჯარისკაცის მამა“, ერთი ახალგაზრდა ყმანვილი ადგა და შემუქითხა, მე, როგორც ვიცი, ხართ ქართველი, საქართველო პატარა ქვეყანაა და თქვენი ფილმის მიხედვით გამოდის, რომ ქართველმა ხალხმა ამ ომში დიდი მინაწილეობა

მიიღო. მე მაინტერესებს, ქართველი რეჟისორი, რატომ დაინტერესდით ამ ომითო?

მე მას ვუპასუხე - რამდენი მოქალაქე და მეომარი დაკარგა მეორე მსოფლიო ომში ამერიკამ? - მან სიამაყით განმიცხადა - ჩვენ 300 000 მებრძოლი დაკარგეთ. მაშინ მე ვუთხარი - თქვენ მსოფლიოს უზარმაზარი ქვეყნის წარმომადგენელი ხართ, გეოგრაფიული სიდიდით, არმიით და ფლოტით, ჩემი სამშობლო სულ ერთი ციცქანაა, მსოფლიო რუქაზე ძლივს ჩანს და ჩემმა სამშობლომ 400 000-მდე მებრძოლი დაკარგა ამ ომში, მაშინ როცა საქართველოს

მოსახლეობა 4 მილიონს აღწევდა. ჩემს პასუხს მთელი აუდიტორია ტაშით შეხვდა.

ფაშიზმი უდიდესი ძალა იყო, შავბნელი, მაგრამ უდიდესი. ვიდრე ისინი საბჭოთა კავშირში შემოიჭრებოდნენ, ევროპა დაიპყრეს. გერმანიამ საფრანგეთი, ეს უდიდესი ქვეყანა 39 დღეში, პოლანდია 5 დღეში, ბელგია 18 დღეში, პოლონეთი 27 დღეში, დანია 24 დღეში, იუგოსლავია 12 დღეში, საბერძნეთი 21 დღეში დაიპყრო. შეიძლება ჩემი მხრიდან თავხედობაც იყოს, მაგრამ ეს ციფრი სამარცხვინოა. საბჭოთა კავშირს გერმანია 5 წელი ებრძოდა და ბოლოს თვითონ დამარცხდა. ეს არ



**მსახიობი იმდენად იყო ათანილი მონაცრებულ „შვილთან“ შეხვეძრის სურვილით, რომ ლამის ქვეშ უვარდებოდა უზარმაზარ საბრძოლო მანძანებს. რამდენჯერა გადაღებაც შეცყდა, რაღაც შეშინებულმა სამხედროება შეაჩერას ტანკები, რომ მსახიობი არ გაესრისათ.**

## კიდევაც დაზრდებან



იყო ცხენების და კავალერისტების ბრძოლა, ეს იყო მოტომექანიზირებული ძალების შეტევები, რომებსაც უკან ფეხსანთა არმია მიჰყვებოდა, ავიაციის დიდი შენაერთებით. საბჭოთა კავშირში დიდი მობილიზაცია გამოცხადდა, ეს საქართველოსაც შეეხო. 400 000-მდე მებრძოლი დაკარგა საქართველომ მსოფლიო ომში და არა საბჭოთა კავშირის ომში.

საქართველოს მოსვენებული ცხოვრება არას-დროს ჰქონია, ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში გუთანი და ცელი. არაბთა ლაშქრობა საქართველოში, ვახტანგ გორგასალის დაუსრულებელი ბრძოლები დამოუკიდებლობისთვის, მურვან-ყრუს და ბუღა - თურქის ლაშქრობები, დავით აღმაშენებლის დიდობრის ომი, ბასინის ომი, მონლოლთა შემოსევები, ჯალალედინის შემოსევა და თბილისის აოხრება, თემურ-ლენგის ლაშქრობა, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები, აპინძისა და კრნანისის ომები, როდის იყო ქართველი კაცი მოსვენებული? როდის ქმნიდა „ვეფხისტყაოსანს“, „ხახულის ხატს“, ქართულ ანბანს, როდის ქმნიდნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები თავის ხელოვნებას? ქართველი კაცი, რომელიც გუთნისა და ვენახის მოყვარული იყო, მუდმივ ომებში იყო. მან შესანიშნავად იცოდა საკუთარი ოჯახის და კერის დაცვის ფასი და საკუთარი სიცოცხლეც ისევე ჩადო მეორე მსოფლიო ომში.

**დაცუშვით თუ არა შეცდომა, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 9 მაისის გამარჯვებაც კომუნიზმის და საბჭოთა კავშირის ისტორიას ჩავაბარეთ?**

- რა თქმა უნდა. საუბარი იყო საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე და ისე მოვიქეცით, თითქოს ჩვენ, მეორე მსოფლიო ომში მონანილეობა არ მიგვიღია და 400 000 ადამიანის სიცოცხლეც არ შეგვინირავს. თუმცა, ეს არ ყოფილა გერმანია - საბჭოთა კავშირის ომი, ეს მეორე მსოფლიო ომი იყო, რომელიც ფაშიზმისა და არაკაცური იდეოლოგიის ნინაალმდეგ იყო მიმართული. ეს შეხედულება ჩამოყალიბდა ქართველ

ხალხში, პროპაგანდა გაეწისა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

ნუ ვიტყვით „ქართველებო, ამაზე უარს. მე საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებსაც მინდა მივმართო, ნუ ვიტყვით იმ ომზე უარს, სადაც 400 000 ქართველის სიცოცხლეა ჩადებული და რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს და პატივს მიაგებს. ქართველმა კაცმა, მელიტონ ქანთარიამ გამარჯვების დროშა რაიხსატაგის თავზე აღმართა.

მე ტყუილად არ დამიდგამს არც „ჯარისკაცის მამა“ და არც „ლიმილის ბიჭები“. ეს რეალობა იყო, ქართველები ამ ომში ტირილით, მაგრამ სიცილითაც მიდიოდნენ. მე მახსოვს, როგორ დაიღუპნენ ჩემი მეგობრები ამ ომში. ლევან ჩხილვაძე, ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც ჩემზე უფროსი იყო და ჯარში გაიწვიეს. მან მონანილეობა მიიღო კურსეის ბრძოლებში, იმ ბრძოლებში 6000 ტანკი მონანილეობდა და ერთ-ერთში ლევან ჩხილვაძე იჯდა. ტანკს ცეცხლი მოეკიდა და ვერ მოასწრო ამოსვლა. მე არ მინდა მისი სსოვნა შეცურაცხყო და ვუთხრა, რომ შენ ტყუილად დადე შენი სიცოცხლე იმ ომში, რომელმაც საქართველოს არაფერი მოუტანა.

ამ ომში გამარჯვება სტალინმა მოიპოვა, რომლის დამსახურებაც ასევე კომუნიზმის ისტორიას ჩავაბარეთ.

- ძალიან საინტერესო იქნება, თუ სტალინის ფიგურას შევისწავლით ისე, როგორიც სინამდვილე-ში იყო. იმ არეულ ეპოქაში, რომლის დამკვიდრებაში



ფილმი „ლიმილის ბიჭები“

ლენინთან ერთად თვითონაც მონანილეობდა, ის ქრისტიანობის დამკვიდრებისთვის მებრძოლი იყო. მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ქართველისთვის ქრისტიანობა, ძალიან მორწმუნე და საქართველოს ბედზე დაფიქრებულიადამიანი იყო. ვიცი, შემედავებიან და მეტყვია რა მოუტანა მან საქართველოს? არის ამაში პრინციპიალური შეხედულების საკითხი. მაგრამ, მე ვიტყოდი, რომ ის თავის სიკეთეზე კი არ ზრუნავდა, არამედ საკუთარი შეხედულებების გამო ენამა და მარტოდმარტო დაიღუპა და დარჩა ისტორიაში ალარც იქით, აღარც აქეთ. მიმართია, რომ ისტორიაში

# კიდევაც დაზრდებიან

მისი სახელი და მოღვაწეობა, დღემდე სწორად არ შეფასებულა.

ძალიან მინდა, ჩემი შემდგომი ნამუშევარი მიეძღვნას ისეთ დიდ ქართველს, როგორიც ექვთიმე თაყაიშვილი იყო. ასეთი პატრიოტი ძნელად თუ მოიძებნება, მისი ცხოვრება წმინდანის ცხოვრებაა. ის შიშველ-ტიტველი და მშეირი დადიოდა საფრანგეთში, მეუღლეც სილარიბეში გარდაცვალა, მაგრამ ქართული საგანძურისთვის არაფერი დაუკლია, რომელიც მან 1921 წელს საქართველოდან წამოილო.

კაცი შიმშილით კვდებოდა და საფრანგეთში მცხოვრები ქართველ თავადთა წალებული საოჯახო რელიგიებიც კიუკანდაბრუნა. როგორ მიიღეს საქართველოში ეს ადამიანი, როგორ უკრძალავდა მთავრობა და ორგანოები, რომ მის დასაფლავებას ვინმე დასწრებოდა. დიდი ქართველი პატრიოტის ბედი, მინდა ჩემს ფილმად გადავაქციო და ამაზე დიდი ხანია ნაფიქრი მაქს, ჩემი მეგობრები თბილისში სცენარზე მუშაობენ. მინდა ქართულ საზოგადოებას მივმართო, რომ ნუ აყვებიან ჭორებს, რომელიც დროდადრო ჩვენ პრესაში იბჭჭდება.

მეორე მსოფლიო ომზე ვსაუბრობთ და არ შეიძლება თქვენს ფილმებს „ჯარისკაცის მამას“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის სიმბოლოდ იქცა და „ლიმილის ბიჭებს“ არ შევხოთ.

-მინდა გავიხსენო ქართული კინოს წინამძღვრობი, ვასილ ამაშუკელი, რომელმაც პირველად ფირზე აღბეჭდა უამრავი სიუჟეტი, მათ შორის აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ამის შემდეგ განვითარდა ქართული კინემატოგრაფია. წუნუნავა, შენგალაია, ჭიათურელი, კალატოზიშვილი, რონდელი, დოლიძე, ესაკია. მათ შექმნეს ქართული კინემატოგრაფიის საფუძველი. როდესაც თენგიზ აბულაძე და მე თბილისში ჩამოვედით, როგორც კონორეჟისორები კონისტუდია „ქართულ ფილმში“. ბევრი იყო, ვინც განათლება მოსკოვში მიიღო, ჩვენ პირველი ნაბიჯები გადავდგით და „მაგდანის ლურჯა“ გადავიღეთ. 50-იან წლებში განხორციელებული გარკვეული ცელილებების შემდეგ, როდესაც ისე თითქოს ვეღარ გზლუდვდნენ, შევძელით ქართველი კაცის სულიერება გამოგვეტანა. ასეთმა გზებმა მიგვიყვანა „ჯარისკაცის მამამდე“.



სერგო ზაქარიაშვილის „ჯარისკაცის მამას“ როლის განულების გამოსახული

ყოველი სურათის ფასი არის იმაში, თუ როგორ განზოგადდება ესა თუ ის ფილმი, რა იდეურ მიზანდასახულებას და ერის სულიერ გამოხატულებას მიიტანს ის მაყურებლამდე. ასეთი არის ქართველი მევენახის, გიორგი მახარაძევილის სახე, რომელიც სერგო ზაქარიაშვილის ხელში გადაიქცა არა მარტო მებრძოლად, არამედ ფილოსოფიურ ნატურად. შეხედეთ, როგორ ესაუბრება ის უფროს სერგანტს - შენ მე ნუ მასწავლი ომს - „მო დედ ვაევალ, ეგო დედ ვავევალ, ეგო დედ ვაევალ ტოჟე“ - ქართველ კაცს ნუ მასწავლი ომსო. ცალკე თემაა, როგორ მოხვდა ის ეკრანზე და რა გზები გაიარა ამ ფილმმა. სამხედრო გენერალ ევტიშევის დამსახურებაა, რომელიც საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიტიკურ სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ამ ფილმის ეკრანზე გამოჩენა. მის გარდა დარბაზში, ფილმის სანახავად, კიდევ 40-მდე გენერალი იჯდა, რომელიც ტაშით შეხვდნენ ფილმს. შემდეგ ნახა სამხედრო მინისტრმა, შემდეგ ბრეუნევმა. მათ გაუგეს მამას, რომელიც ამ შემთხვევაში ამ იდეის პატრონია. ადამიანია, რომელიც თავის სამშობლოს და ერის სახელით ამბობს, რომ ის ჰუმანიზმის მომხრეა.

ვენახის და ტანკის სცენა რაც არის, ხვდებით. ვენახი ეს საქართველოა, სინათლის და მზის მუდმივი კატეგორიაა, რამხელა სიმაღლეზეა ქართველი კაცი ასული, მეომარი, რომელმაც ვენახები მიატოვა, ბრძოლაშიც ვენახს იცავს. კიდევ ერთი პატარა სცენაა იქ, როდესაც გიორგი მახარაშვილი საპარმო მანევრაზე ზის ჩავირეცული და რუსი სერგანტი, რომ ეპითევა-რატომ ხარ ასეთი ჩავირეცული, რას აკასებობს სარგო ზაქარიაშვილი - ჩამი ვაილი კათილი და ჭვივანი გიგი იყო და ვაითუ, ამ მოში გაპოროტდა. მისი მთელი მოღვაწეობა ჰუმანიზმის მისამართის განვითარება უკანასკნელი და ვენახი, რომელიც საქართველოს სიმბოლოს და ერის სახელით ამბობს, რომ ის ჰუმანიზმის მომხრეა.

მასალა მოამზადა ნინო რაცვიაშვილეა

მასალა მოამზადა ნინო რაცვიაშვილეა, როდესაც შევიტყვეთ, რომ გარდაიცვალა პრეზიდენტი რეზისორი რაზო ჩხეიძე, რისტოს სამდიმარს ვუცხადეთ მის მოვალეობას, ასლობლების და მთელ კიონსამყაროს.

# 1 ჭამი - ფურულებულების დაწესებულები



1 მაისი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში საბჭოთა კავშირის ასოციაციებს იწვევს, ეს დღე საბჭოთა კავშირის არ არის. რეალურად საბჭოთა კავშირი ერთგვარი სივრცე იყო, სადაც საგნები, მოვლენები, ცნებები, მუდმივად მახინჯდებოდა. საბჭოთა კავშირში ადამიანზეც კი ბევრს ვერაფერს გაიგებდით. როგორც მამარდაშვილი ამბობდა, ადამიანის შესახებ ამ სივრცეში ვერაფერს გაიგებ, არაფერს გეუბნება ის, თუ როგორ გამოავლენს ადამიანი თავს ამ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე ჩვენი ამოცანაა ცნებებს და მოვლენებს შინაარსი დავუბრუნოთ, კი არ უარყოთ, არამედ ახალი შინაარსი ჩავდოთ და ვინ გააკეთებს ამას? ამას ახალი თაობა გააკეთებს, რომელიც არ მოსწრებია 1 მაისს ნითელ ყელსახვევიანი პიონერების მსვლელობას ქალაქის მთავარ პროსპექტსა და მოედნებზე ფერადი ბუშტებით და ათასი სისულელით. ეს სანახაობა ჯერ კიდევ 6 წლის ასაკში მირევდა გულს. ამიტომ 2013 წლის 1 მაისი ჩემი აზრით სწორედ ამგვარი შემობრუნების დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ, როცა ახალმა თაობამ, იმათ ვინც არ მოსწრებია საბჭოეთს, ვინც ბავშვობა ბნელ 90-იანებში გაატარა და მოზარდობა კაპიტალიზმის ყველაზე უფრო ველურ ფორმებში, სადაც სოციალური დარვინიზმი უზენაეს კანონად იყო ქცეული, დაძლია წარსულთან გაიგივების შიში და ახალი შინაარსის ჩადება დაიწყო ამ დღეში.

1 მაისი შემობრუნების დასაწყისა, რადგან სოციალიზმი არ ჩნდება იქ, სადაც სახელმწიფო არ შემდგარა. ყველაზე უფრო ოპტიმისტ და შეუგუებელ ადამიანსაც კი, 2003 წლამდე არ მოუვიდოდა თავში აზრად სახელმწიფოსგან მოეთხოვა სოციალური

სამართლიანობა. რატომ? იმიტომ რომ სახელმწიფო მხოლოდ ფინანსურად არსებობდა, სადღაც, ქაღალდზე. სახელმწიფოს ბუტაფორია უფრო ეთემოდა და არც არავინ იფიქრებდა ამ ბუტაფორისთვის რამის მოთხოვნას აზრი აქვსო. სახელმწიფო სამსახურში მუშაობა შიმშილს უდრიდა, თვეობით გაყინული პენსიებისა და ხელფასების მოთხოვნაც კი აზრს მოკლებული იყო. 2007 წლის შემდეგ, ნელ-ნელა დაიწყო სოციალიზმის, როგორც იდეოლოგის გარკვეულ წრეებში რეანიმაციის პროცესი. ნელ-ნელა სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაძედა ეთქვა რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმი არ იყო (ესეც ისევ და ისევ საბჭოთა კავშირის ბუნებიდან გამომდინარე, ვინადან იქ არაფერი იყო ნამდვილი) და გაჩნდა მცირე, მაგრამ ჯგუფი, რომლებიც სულ უფრო ხმამაღლა მოითხოვდნენ სახელმწიფოსგან სოციალური სამართლიანობისკენ აქტიური ნაბიჯების გადადგმას. სოციალიზმის არსებობა ქვეყანაში იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო, როგორც ინსტიტუცია შედგა და მისთვის რამის მოთხოვნას აზრი აქვს, იმდენად, რამდენადაც

მას აქვს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების რესურსი (ვცდილობ ავცდე სოციალიზმის კრიტიკას).

სოციალიზმის კრიტიკას ყოველთვის საბჭოთა კავშირიდან ვიწყებთ. განსაკუთრებით პოსტ საბჭოთა სივრცეში. მე როგორც სოციალიზმის მოძულეს, ბევრი არგუმენტი მაქვს, თუმცა ერთ რამეზე ყველა ვთანხმდებით, საბჭოთა კავშირში არ არსებობდა სოციალიზმი, იგი შვა მემარჯვენე დისკურსების სრულმა ამოძირებამ. პოტენციურად, თუ კისივრციდან განვდევნით მემარჯვენე იდეოლოგიებს, მივიღებთ საბჭოთა კავშირს თუ არა, ტოტალიტარიზმის საბჭოთა კავშირს მოდელს მაინც. მაგალითები ბევრია სამხრეთ ამერიკაში, ჩრდილოეთ კორეაში და ა.შ. მეორეს მხრივ თუ კი საერთოდ უარს ვიტყვით სოციალიზმზე, ხელში შეგვრჩება სოციალური დარვინიზმი, ასევე არაადამიანური საზოგადოება, სადაც ძლიერი უნდა გადარჩეს, სუსტი კი უნდა მოკვდეს. რატომა ევროპა წარმატებული? ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ იქ პოლიტიკური სივრცე არასოდეს ყოფილა კასტრირებული, არასოდეს განდევნილა ბოლომდე სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია და არასოდეს დარჩენილა მემარჯვენე იდეოლოგიები სოციალიზმის გამანონასწორებელი ფაქტორის გარეშე. შრომის უფლებებს, სოციალური სამართლიანობისკენ

## წარსულის ექი

მუდმივ სწრაფვას სწორედ სოციალისტებს უნდა გუმაღლოდეთ. ყოველ შემთხვევაში თუ სადმე ვინმეს გადაავინყდა რომ არსებობს სოციალური უფლებები და ამ უფლებებს რეალიზება ჭირდება, აუცილებლად შეახსენებენ მოლოტოვის კოქტეილებით, ქვაფენლის თლილი ქვებით და დროშის ტარებით შეიარაღებული მშრომელები, მათი მხარდამჭერი სტუდენტები და თავისუფალი ადამიანები, რომლებისთვისაც ნებისმიერი, მათ შორის სოციალური ჩაგვრა, მიუღებელია. სწორედ ეს ნიშნავს ახალი შინაარსის ჩადებას ამ დღეში, სწორედ ესაა 1 მაისის, როგორც საერთაშორისო დღის განუზომელი მნიშვნელობა. მეტსაც გეტყვით, ერთი საქართ მინის ჩამსხვრევა რა არის, ნამდვილი ევროპული 1 მაისი ისე არ ჩაივლის რამდენიმე მანქანა და მაღაზია თუ არ დაიწვა და ეს ყველაფერი შემდეგ პოლიციასთან ხელჩართულ ბრძოლაში არ გადაიზარდა. ეს საფასურია, რომლის გადახდაც წელიწადში ერთხელ ნამდვილად ღირს, იმისთვის რომ ბავშვები შემშილით არ იხოცებოდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტის გადანაწილებისას კი პოლიტიკოსებს არ დაავწყდეთ, რომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დაფუძნება, ჩვენი კონსტიტუციის პრეამბულაში საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანადა განსაზღვრული.

2013 წლის 1 მაისს, სტუდენტებმა, არტისტებმა, უბრალოდ თავისუფალმა ადამიანებმა და უფრო ურტკრირებულად თუ ვიტყვით, ახალმა თაობამ დაიწყო ახალი შინაარსის ჩადება. ისინი გამოვიდნენ გაცილებით უფრო მოკრძალებულად, ვიდრე ამას მათი თანამოაზრე ევროპელები აკეთებენ ხოლმე და მსვლელობა დაიწყეს. რა თქმა უნდა ეს იყო აგრესიული, რა თქმა უნდა მათ უმრავლესობას მარქსი არასოდეს გადაუშლია, რა თქმა უნდა იქ თითქმის არ იყვნენ მუშები, რა თქმა უნდა მათ სწორედ იმ ბანკზე მიიტანეს შეტევა, რომელიც ყველაზე მეტ სოციალურ პროექტს ახორციელებს, რა თქმა უნდა ბევრი რამის გამო შეიძლება გავაკრიტიკოთ,

მაგრამ ქართული საზოგადოების რეაქცია ამ ყველაფერზე არააღექვატური იყო. მათ ვერ დაინახეს მთავარი იდეა და არაფრის მთემელ წვრილმანებს გამოეკიდნენ. კიდევ უფრო არააღექვატური იყო სახელმწიფო ჩინოვნიკების და პოლიციის რეაქცია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც 1 მაისს მოხდა. ამ დღეს ნათლად დავინახეთ, თუ რაოდენ არაპროფესიონალურად იქცევა პოლიცია, როგორც კი საქმე მიდგება შეკრებებისა და მანიფესტაციებისას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. აღმოჩნდა რომ ჩვენმა პოლიციელებმა იციან ორი რამ: ან ინერტულად უყურებენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ან გადაჭარბებული, არააღექვატური ძალითა და ზედმეტი მონდომებით იწყებენ აქციის დაშლას. არააღექვატური აღმოჩნდა ახალი შინაგან საქმეთა მინისტრიც, მან იმის ნაცვლად რომ სასწრაფოდ მიეღო ზომები, პოლიციის გადასმზადებლად, პირდაპირ დაიწყო ამ დარბევის გამართლება. ეს დაუშვებელია, საჭიროა პოლიციის მომზადება ასეთი შემთხვევებისთვის, რათა მათ შეძლონ და შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გადაამეტონ უფლებამოსილებას.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა რომ სოციალიზმი მძულს, მიყვარს ადამიანები, ვთვლი რომ სახელმწიფოს არსებობას პირველ რიგში ის აზრი აქვს (სხვა აზრიც აქვს მაგრამ პირველ რიგში ეს), რომ ადამიანებმა ცხოველებივით არ ვიბრძოლოთ თვითგადარჩენისთვის, რომ ძლიერებმა ვიზრუნოთ სუსტებზე, რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა რა შესაძლებლობებს ფლობს, არ შეეშინდეს შიმშილით სიკვდილის, შრომა არ გადაექცეს მონბად, რომ ადამიანები აღარ ითხოვდნენ ძვირადღირებული ოპერაციების დასაფინანსებლად შემწეობას, სიცოცხლის გადასარჩენად აღარ ჭირდებოდეთ სხვისი მოწყალების იმედად ყოფნა და ა.შ. მე მინდა სახელმწიფო აღიარებდეს უმთავრეს ღირებულებას - ადამიანს.



ვნების კვირაში განუტევე სული, სულგრძელმა და მართალმა გულმა გიმტყუნა.

შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ თავზარი დასცა მოსიყვარულე, უერთგულეს მეუღლეს, ტუხას, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს, არც შენი გარდაცვლილი გოგო იქნება გახარებული, მას ხომ დედის ამქვეყნიური ბედნიერება უფრო გაახარებდა.

ქალბატონი ზოია, მთელმა სოფელმა ცხარე ცრემლით დაგიტირათ, თქვენი ნაადრევი გარდაცვალება მართლაც რომ შემზარავი აღმოჩნდა. ლამაზი, მოხდენილი, არისტოკრატიული შესახედაობის ქალბატონს კიდევ დიდხანს უნდა დაგემშვენებინათ თქვენი ოჯახი, ახლობლები და თანასოფლელები.

გაზაფხულს უთქვენოდ ხვდება ბატონი ტუხა, უჭირს უსაზღვროდ, მარტოობა გაუსაძლისი აღმოჩნდა მისთვის, მაგრამ შვილების გამო ცუდად ყოფნის უფლება არ აქვს, მას ხომ ოჯახის მთელი სიმძიმე დააწვა მხრებზე.

ნათელში იყოს თქვენი სული, ქალბატონი ზოია.

შურალი „რაზველების“ რედაქცია.



## ომის ქარტველი წერისში

ომები — გადატრიალება წედურები თურქეთთან ბრძოლაში პირველ მსოფლი იმში 1916 წელს, მეფის რუსეთის არმიაში წედისიდან საქმაო რაოდენობით გაუწვევიათ ახალგაზრდები. თედო ალექსის ძე მაისურაძე, მიხი ამანანაგები ისმაილ მაისურაძე, ვასილ მაისურაძე და ლევან მაისურაძე. მათი განვევის ერთი წლის თავზე გაუწვევიათ მალაქია (არჩილ) მაისურაძე და ნინა მაისურაძე. თედოს, როცა აცილებდა ოჯახი, კარადიდან გა

მოუღია ხანჯალი, რომელიც ბითუმი ვერცხლით იყო მოჭედილი და ზედ ეწერა “თედო” ეს ხანჯალი თედომ საჩუქრად გადასცა თავის უფროს ძმას მალაქიას. ძმაო ჩემი, მე დავბრუნდები, თუ არ დავბრუნდები, ეს ხანჯალი შენოვის მიჩურია, ატარე ნიშნად ჩემი მოგონებისაო. ხანჯალი მალაქიას ძალიან უყვარდა და ატარებდა კიდეც თავისი ძმის საპატივცემლოდ. სიკვდილის წინ მოითხოვდა, ჩემი თედოს ხანჯალი მომიტანეთო. ეს თხოვნა ვერ შეუსრულეს ვინაიდა მან სული სოხუმში დალია, ხანჯალი კი წედისში იყო. ყოფილი მამასახლისი ტატუა მაისურაძე იტყოდა – ხოლმე, მამისაანთ თედო, რომ დაბრუნებულიყო თურქეთიდან, მამასახლისობა მოსთვის უნდა ჩამებარებინა (ჯაჭვი და მედალი) იმ პერიოდში ასეთი წესი ყოფილა, ვინც ფიზიკურად ძლიერი იყო და გონებაც ხელს უწყობდა, ის უნდა ყოფილიყო სოფლის მამასახლისი. მინა მაისურაძეს, დიდად გამოუჩენია თავი თურქეთთან ბრძოლაში, ამიტომ იგი დაჯილდოვებული იყო სამჯერ “გიორგიევსკი კრესტით” იმავე თედონით და რამდენიმე მედლით. სარდლობა მას პირდებოდა ბევრ სიკეთეს იმის დამთავრების შემდეგ მისთვის “უნტერ ოფიცრის” წოდებაც მიუციათ და ჩატაბარებით იცეული. იგი სარდლობის ყველა დავალებას ბრუნვალედ ასრულებდა. მინა მაისურაძის გმირობით იმ დროს და მარტო წედისი და წედურები, არამედ მთელი საქართველო ამაყობდა. ქართველები, რომლებიც თურქეთიდან ბრუნდებოდნენ, მენშევიკების არმიაში გაუწვევიათ. ასე მოხვედრილან მინა და მალაქია მენშევიკურ არმიაში. მათ მონაწილეობა მიუღიათ “იუნკებთან” ერთად ტაბახმლის სერზე ბრძოლაში. მალიქია მაისურაძე გულში დაუჭრიათ, მაგრამ შორიდან ნასროლ ტყვიას შიგნით გულამდე ვერ შეუღწევია და ცოცხალი გადარჩენილა. ცოცხალი გადარჩა მინა

მაისურაძეც. როდესაც მენშევიკებნა საზღვარგარეთ გადაწყვიტეს გაქცევა, მინასთვის და მალაქიასთვის შეუთავაზებიათ წამოდითო, მაგრამ მათ სამშობლოს დატოვებაზე უარი განუცხადებიათ უარი განუცხადებიათ და თავის იარალით შინ დაბრუნებულან.

მინა მაისურაძეს ფაქიზად შენახული თავისი ჯვარ – მენდლები და ორდენები ისე უმშვენებდა გულს და ყოველი საზეიმო დღეების დროს ამაყად ატარებდა ჩინ – მენდლებს.

სამეულის დაბრუნება თურქეთიდან რაც შეეხება თედოს, ისმაილს, ვასილსა და ლევან მაისურაძებს მათი სამშობლოში დაბრუნება ასე მოხდა. ოთხი წავიდნენ ერთად მაგრამ სამი დაბრუნდა. თედო არ დაბრუნებულა. აღნიშნული სამეული სახლში რომ გამოემგზავრა, ორი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. პირველი პრობლემა ის იყო, რომ თედოს ოჯახი დაერნმუნებინათ როგორმე, რომ თედო ცოცხალი იყო და დაბრუნდებოდა. მეორე პრობლემა კი ის იყო, რომ როცა სოფელში მივიდოდნენ, რით უნდა ეამაყათ არ იცოდნენ. თურქეთი ავიღეთ და დაგვატოვებინესო? შინ რა ეთქვათ?! ამისათვის საფუძველი არ გააჩნდათ. საჩხერეში, რომ ჩავიდნენ, დუქანში პური უჭამიათ და ღვინოც დაუყოლებიათ. საუბარში ლევანს შეუთავაზებია აზხანაგებისათვის – საჩხერე ავიღოთთ. ვასილს უთქვამს: - ვთქვათ საჩხერე ავულეთ, სამაგისოდ თოფებიცა გვაქვს და ტყვია წამალიც, მაგრამ მერე რა გავაკეთოთ ეს არის საფიქრალი. – რა ფიქრი უნდა, ვინც ამ საქმეს იწყებს – ლევანა ქალაქის თავად დავნიშნოთ და მერე ჩვენ რა თანამდებობებს მოგვცემს თვითონ იცისო. ლევანამ შეიფერა ქალაქის თავი რომ იქნებოდა და თქა: – ისმაილს სადგურის უფროსობა მივცეთ, ხომ შეძლებსო? შენ კი ვასო ფოსტის უფროსობა დაგმშვენდებაო. ვასილამ სიტყვა გაანწყვეტინა და სინანულით თავი გაიქნია, “არც ერთმა წერა - კითხვა არ ვიცით, და ჩვენ ქალაქს, როგორ უნდა მოვუაროთთ” ჩვენ თუ ვერ შევძლებთ პატრონობას, ხვალ ზეგ წითელი არმია შემოვა ონიდან და ისინი უპატრონებენ. თქვეს და გადაწყვიტეს, რომ ამ სამეულს საჩხერე უნდა, გაეთავისუფლებინა მენშევიკებისაგა, მათ არ იცოდნენ რაოდენ შეცდომას სჩადიოდნენ. კარგად რომ დანაყრდნენ და ცოტა შეზარზოშდნენ, გაინაწილეს ფუნქციები. ლევანას მდინარე ყვირილაზე

## ომის ქრონიკა

გადებული ხიდი და მისი მიდამოები უნდა გაეწმიდა, ისმაილას – რკინიგზის სადგური, ხოლო ვასილას ფოსტა – ტელეგრაფი უნდა დაეკავებინათ. ბრძოლის დაწყების ნიშანი იყო ერთჯერ თოფის სროლა ჰაერში. სამეუღლა დაიწყო ბრძოლა. ატყდა თოფების დგაფა – დგუფი. აქეთ წედურები, იქით ქალაქის პატრულები. ასე ისროდნენ და არ ზოგავდნენ ერთი – მეორესმეორე დღეს დაჭრეს ლევანი და იმის მხარეზე შეწყდა თოფის სროლა. მიშველება არ შეიძლებოდა, ვინაიდან ვასილი და ისმაილი

ჩასაფრებულები იყვნენ და თუ საფარიდან გამოვიდნენ, იმათაც დაჭრა ან სიკვდილი ელოდათ. ასეთ ვითარებაში წითელი არმიის ნაწილებიც შემოვიდნენ ქალაქში შემერის მხრიდან. ასე რომ მაშინ, როცა წითელი არმიის ნაწილები თბილის უახლოვდებოდნენ, რაჭაში უკვე დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება. ლევანის ჭრილობა გაურთულდა, დაემართა განგრენა და ფეხი მოკვეთეს. სამეუღლი სამეუღლი მოტყუებული იყვნენ და ვერ განსაზღვრეს, რომ მენშევიკების ნინააღმდეგ ბრძოლა

### გვარი, სახელი, მამის სახელი უბანი დაბრუნდა თუ არა

- 1 მაისურაძე მიშა ნესტორის ძე ლაჭიკანთი არა
- 2 მაისურაძე კიქტორ არჩილის ძე დავითეთი არა
- 3 მაისურაძე ვანო ლილის ძე ლვინეთი არა
- 4 მაისურაძე ერასტი ბასილის ძე დავითეთი არა
- 5 მაისურაძე სარდიონი სიმონის ძე დავითეთი არა
- 6 მაისურაძე ალიკო სარდიონის ძე დავითეთი არა
- 7 მასურაძე გიგლა პარმენის ძე ბელიტაანთი არა
- 8 მაისურაძე ვასილ მალაქიას ძე გოგილაანთი არა
- 9 მაისურაძე ერმილე ზურაბის ძე გოგილაანთი არა
- 10 მაისურაძე ვალოდია დიმიტრის ძე გოგილაანთი არა
- 11 მაისურაძე ბაგრატი ლუკას ძე ლაილეთი არა
- 12 მაისურაძე არტემი ლუკას ძე ლალიეთი არა
- 13 მაისურაძე დალისტი საქარის ძე ლალიეთი არა
- 14 მაისურაძე ტრიფონ დიმიტრის ძე ლალიეთი არა
- 15 მაისურაძე დავით იორდანეს ძე კრაზნაანთი არა
- 16 მაისურაძე ჯიბრ ზაქარიას ძე ლომინენთი არა
- 17 მაისურაძე აღალო ზაქარიას ძე ლომინენთი “-”
- 18 მაისურაძე იორამ გიორგის ძე “-” “-”
- 19 მაისურაძე რუბენი გიორგის ძე “-” “-”
- 20 მაისურაძე ვასილის ძე ხუციენაანთი “-”
- 21 მაისურაძე სერიოფა ვასილის ძე “-” “-”
- 22 მაისურაძე შონ ვოგას ძე ხუციენთი “-”
- 23 მაისურაძე პავლე გიორგის ძე ლაილეთი “-”
- 24 მაისურაძე შოთა ლევანტის ძე ხუციაანთი “-”
- 25 მაისურაძე ხარიტონ ალექსის ძე ხუციაანთი “-”
- 26 მაისურაძე ვალოდია დავითის ძე პეტრეშვილის “-”
- 27 მაისურაძე დალოსტი ივანეს ძე პეტრეშვილის “-”
- 28 მაისურაძე კოლა ექვთიმეს ძე თაზაასი “-”
- 29 მაისურაძე ბაგრატი ივანეს ძე გიორგიაანთი “-”
- 30 მაისურაძე მიშა ივანეს ძე გიორგიაანთი “-”
- 31 მაისურაძე მალაქია შიოს ძე გიგაანთი “-”
- 32 მაისურაძე იოვანე შიოს ძე გიგაანთი “-”
- 33 მაისურაძე ამბაკო ივანეს ძე ჩიჩენაანთი “-”
- 34 მაისურაძე იასონ სიმონის ძე გიგაანთი “-”
- 35 მაისურაძე თომა სიმონის ძე ხუციაანთი “-”
- 36 მაისურაძე პავლე ივანეს ძე გიგუჩასი “-”
- 37 მაისურაძე აბიძე არჩილის ძე ქოჩორაანთი “-”
- 38 მაისურაძე სერგო მიხაილის ძე ქოჩორაანთი “-”
- 39 მაისურაძე თელო ბათლომეს ძე ჭალეებისი “-”
- 40 მაისურაძე სილვან ბათომეს ძე ჭალეებისი “-”
- 41 მაისურაძე მიშა პართენის ძე ჭალეებისი “-”
- 42 მაისურაძე ვიქტორ პართენის ძე ჭალეებისი “-”
- 43 მაისურაზე ოქრუა ივანეს ძე “-” “-”
- 44 მაისურაძე პლატონ ვასილის ძე “-” “-”
- 45 მაისურაძე ნესტორ ადამის ძე ლევეითაანთი “-”
- 46 მაისურაძე არჩილ დავითის ძე “-” “-”
- 47 მაისურაძე შალვა დიმიტრის ძე “-” “-”
- 48 მაისურაძე სპირიდონ ბასილის ძე “-” “-”
- 49 მაისურაძე გიორგი მარკოზის ძე “-” “-”
- 50 მაისურაძე კონია ამირანის ძე “-” “-”
- 51 მაისურაძე პიმენი ფილიმონის ძე “-” “-”
- 52 მაისურაძე ექვთიმე გიოს ძე “-” “-”
- 53 მაისურაძე გიორგი გიოს ძე “-” “-”
- 54 მაისურაძე მინა პავლეს ძე ჩიჩენაანთი “-”

- 55 მაისურაძე ერასტი თედორეს ძე ლომინეთი კი
- 56 მაისურაძე პარმენ რევაზის ძე ქალეებისი კი
- 57 მაისურაძე კოლია ვასილის ძე “-” კი
- 58 მაისურაძე ნიკოლოზ ვასილის ძე “-” კი
- 59 მაისურაძე ვასილ მალაქიას ძე ლევეითანთი “-”
- 60 მაისურაძე კონია დამიტრის ძე “-” “-”
- 61 მაისურაძე ლევანტი სოსიას ძე “-” “-”
- 62 მაისურაძე ბაგრატი ივანეს ძე ხუცენაანთი “-”
- 63 მაისურაძე ბაგრატი იასონის ძე ლომინეთი “-”
- 64 მაისურაძე ესტატე იასონის ძე “-” “-”
- 65 მაისურაძე ბაგრატი პლატონის ძე დავითეთი “-”
- 66 მაისურაძე ამბროსი პლატონის ძე “-” “-”
- 67 მაისურაძე სამსონ პლატონის ძე “-” “-”
- 68 მაისურაძე შოთა არჩილის ძე “-” “-”
- 69 მაისურაძე მელიტონ გრიგოლის ძე მელიტაანთი “-”
- 70 მაისურაძე ერმილე პავლეს ძე დაჭიკარი “-”
- 71 მაისურაძე ალექსი ზურაბის ძე “-” “-”
- 72 მაისურაძე ილარიონ ზურაბის ძე “-” “-”
- 73 მაისურაძე მიხეილ პარმენის ძე მელიტაანთი “-”
- 74 მაისურაძე ასლან სოლომონის ძე ლომინეთი “-”
- 75 მაისურაძე ვარდენ ასლანის ძე “-” “-”
- 76 მაისურაძე კოლია აპრამის ძე “-” “-”
- 77 მაისურაძე ქემვარდი ნიკოს ძე “-” “-”
- 78 მაისურაძე არტემ იორდანეს ძე კრაზაანსი “-”
- 79 მაისურაძე გიორგი ივანეს ძე ხუცენაანთი “-”
- 80 მაისურაძე ვასილი ლუარსაბის ძე ჭალეების “-”
- 81 მაისურაძე გრამიტონ ერმილეს ძე “-” “-”
- 82 მაისურაძე გალატიონ ბათლომეს ძე “-” “-”
- 83 მაისურაძე გრამიტონ ივანეს ძე პეტრეშვილი “-”
- 84 მაისურაძე ერასტი კიმოთეს ძე ნინიკიანთი “-”
- 85 მაისურაძე ალექსი კიმოთეს ძე “-” “-”
- 86 მაისურაძე ბაგრატი დათილას ძე “-” “-”
- 87 მაისურაძე გიორგი ლუკას ძე ლაილეთი “-”
- 88 მაისურაძე ბაგრატი მიხეილის ძე ლევეითაანთი “-”
- 89 მაისურაძე კონია ალექსის ძე ხუცილაანთი “-”
- 90 მაისურაძე სევარიონ ადამის ძე გოგილაანთი “-”
- 91 მაისურაძე ალექსანდრე სიმონის ძე “-” “-”
- 92 მაისურაძე რაჭენ პავლეს ძე ლომინეთი “-”
- 93 მაისურაძე ისაკო თაზიას ძე ლევეითაანთი “-”
- 94 მაისურაძე ალიოშა ლუარსაბის ძე გიგუჩასი “-”
- 95 მაისურაძე გენადი ალექსის ძე გოგილაანთი “-”
- 96 მაისურაძე ვიქტორი ივანეს ძე პეტრეშვილი “-”
- 97 მაისურაძე კოსტა მაქსიმეს ძე გიორგიაანთი “-”
- 98 მაისურაძე ზაქარია სიმონის ძე კრაზაანსი “-”
- 99 მაისურაძე ამბროსი სიმონის ძე “-” “-”
- 100 მაისურაძე ანთომ ზაქარიას ძე ლომინეთი “-”
- 101 მაისურაძე სპირიდონ დავითის ძე ლევეითაან “-”
- 102 მაისურაძე შალვა დავითის ძე “-” “-”
- 103 მაისურაძე ბიძინა იასონის ძე “-” “-”
- 104 მაისურაძე ალიკო სიმონის ძე კრაზაანსი “-”
- 105 მაისურაძე ლუკა შიოს ძე გიგაანთი “-”
- 106 მაისურაძე გიორგი შიოს ძე “-” “-”
- 107 მაისურაძე კონსტანტინე კირილეს ძე ჭალეებისი “-”
- 108 მაისურაძე პარმენ ივანეს ძე პეტრეშვილები “-”



უგნურობა იყო. წედურები დიდი სამამულო ომის ნლებში 1941 – 45 ნლები მძიმე და მწუხარე იყო, როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის, აგროვე წედურებისათვის. სოფ. წედისიდან გაიწვიეს დიდ სამამულო ოში.

წედისიდან სამამულო ომის ფრონტზე გაწვეული იყო 108 კაცი. შინმოუსვლელნი 55 კაციშინ დაბრუნებულნი 53. წედურები დიდი წვლილი მიუძღვით დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. სოხუმში მცხოვრები წედურები, მცირე გამონაკლისის გარდა ქალაქს არ მოსცილებიან. მოვიხესწიოთ ის ხალხი ვინც პირნათლად მოიხადეს სამობლოს წინაშე ვალიმაისურაძე დათო ნოვეს ძე, მაისურაძე მურმან სპირიდონის ძე თავისი ორი ვაჟით მალხაზით და გიათი, მაისურაძე მურთაზ ავთანდილის ძე, არსენ, მამუკა და შოთა მაისურაძები, მაისურაძე ვალიკომ 70 წლის ასაკში ერთდროულად 20 ექსტრემისტი გამოასამა წუთისოფელს თვითონ კი მოკლეს ვერაგულად. იური მაისურაძის სიცოცხლე შეწყდა 30 წლის ასაკში. ბევრი მათგანის ცნობები არ მოიპოვება.

მიგრაცია წედისიდან მიგრაციას საქართველოს სხვადასხვა კუთხებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არაორგანიზაციული ხასიათი ჰქინდა. სოფლიდან რომელიმე ოჯახი შეიძლება ნასულიყო რაიმე დანაშაულის გამო მაგ: მკვლელობას თუ ჩაიდენდა და აგრეთვე სხვადასხვა სახის დანაშაულისათვის. ეს მცირე შემთხვევებია, უფრო მეტ ნილად სოფლიდან მიწის სიმცირის ან მისი უქონლობის გამო ხდებოდა სხვა რაიონში ნასვლა. სოფლის რამდენიმე იჯახი შეთანხმდებოდა და წავიდოდნენ მათვის სასურველ რაიონში საცხოვრებლად. ეს ოჯახები ზოგჯერ ისე მრავლდებოდნენ, რომ მათგან სოფლები იქმებოდ, ასეთ სოფლებად შეიძლება დაგასახელოდ „ქაბისხევი“ ბორჯომის რაიონში, „ტყვარჩეთი“ ყაზბეგის რაიონში, „ჯაფარაული“ ორჯონიქიძის რაიონში, „გორისა“ საჩხერის რაიონში, „ოდიში“ სოხუმის რაიონში, „ახშანი“ ახმეტის რაიონში, სოფელი მაისურაძები – თელავის რაიონში. სოფელ ქვაბისხევში უმრავლესობა მაისურაძები არიან. არავის ახსოვს როდის არიან წასული ქვაბისხევში მაისურაძები. მიუხედავად ამისა წედურები სიამოვნებით უმასპინძლდებიან მათ, როცა ესტუმრებიანყაზბეგის რაიონში სოფ. ტყარჩეთში მარტო მაისურაძები ცხოვრობენ, ყველა მათგანი წედისიდანაა წასული, ისინიამჟამად ხეგსურულ კილოზე ლაპარაკობენ,

მაგრამ შერჩენილი აქვთ რაჭველი კაცისათვის დამახასიათებელი სითბო. წედისის სასოფლო საბჭოში, დაზუსტებული ანგარიშის მიხედვით 1998 წლისათვის მიგრაციის ასეთი სურათი არის: ქ. ონში ჩასახლებულია 22 ოჯახი, ქუთაისისა და წყალტუბოში 15 ოჯახი, მოსკოვში 7 ოჯახი, ხაბარობსკში 8 ოჯახი, სოხუმში 10 ოჯახი, სოხუმის რაიონის სოფელ თდისში 25 ოჯახი, გუდაუთაში 26 ოჯახი, ბიჭვინთაში 6 ოჯახი, ცხინვალში 6 ოჯახი, გორში 7 ოჯახი, თელავში 14 ოჯახი, ახმეთაში 12 ოჯახი, ქ. თბილისში 58 ოჯახი, რუსთავში 12 ოჯახი, ბოლნისში 5 ოჯახი, ყვარელში 10 ოჯახი, ლაგოდეხსა და სოფ. გიორგეთში 15 ოჯახი, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში 6 ოჯახი. სოხუმის რაიონში სოფ. ოდისში მთლიანად უნდა ჩაესახლებინათ სოფ. წედისი, მაგრამ სოფლის მოსახლეობის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. სოფ. ოდისში სახლობდნენ ბერძნები, რომელთაც არ გააჩნდათ საბჭოთა პასპორტები. ამიტომ ეს ხალხი გაასახლეს აღნიშული სოფლიდან. მთავრობა წედურებს პირდებოდა მზა სახლკარს, საკარმიდამო ნაკვეთებს, ბალ-ბოსტნებს და სხვა მრავალ სიკეთეს. ხალხი მაინც უარზე იდგა და იძახდნენ – სხვის ნაცხოვრებ ბინაში არ შევალთო. ნაწილი ოჯახებისა მაინც წავიდნენ. მთავრობამ პირობა შეასრულა. წედისი ერთერთი ყველაზე ხალხმრავალი სოფელი იყო. ნარსულში ჯეკორას ხეობაში. იგი ტოლს არ უდებდა კუდაროს ისეთ მტკიდრო დასახლებულ სოფელს, როგორიც, სოფელი ჩასავალი გახლდათ. გულსატკენი (დღევანდელობასთან შედარებაში) და საინტერესოა ამონარიდი 1886 წლის აღნერიდან. ამ წლისათვის წედისში 98 სახლი იდგა, ცხოვრობდა 543 მამაკაცი, 460 ქალი, ჰყავდათ 60 ცხენი, 338 ხარი, მოძრაობდა 170 ურემი.

ეპიდემია 1919 წელს სოფ. წედისში გავრცელდა ავადმყოფობა „ესპანკა“, რომელმაც დიდი რაოდენობით ხალხის სიცოცხლე შეინიორა. ისტორიული დოკუმენტი წედისის დაწვა. წედურები არც არავისი ყმები ყოფილან და არც თითონ ყოლიათ ყმები. ცხოვრობდნენ საკუთარი ცხოვრებით. იღებდნენ რკინის მადანს ქვანითლი-ძირიდან და ადნობდნენ მას. ჭედდნენ სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო იარაღს. თავიანთი ნანარმი გაჰქინდათ, როგორც ონის ბაზარზე აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხებში გასაყიდად. ონში, რომ წედურს დაინახავდნენ ერთომეორეს ეტყოდნენ „რკინის კაცი მოდისო“. წედურები მარტო მეტალურგით კი არ იყვნენ შემოფარგლული, არამედ მისდევდნენსოფლის მეურნეობასაც. ხნავდნენ და თესავდნენ. მოყავდათ სხვადასხვა კულტურები: პური, სიმინდი, ქერი, მჭადი, კარტოფილი, კომბოსტო და სხვადასხვა ბოსტნეულ-ბალჩეული. ყავდათ როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა პირუტყვი. მზიან და მყუდრო ადგილებში აშენებდნენ ვაზს მდ. ჯეკორის მარჯვენა მხარეზე: ხანში, ნაცერცვალში, წიფრალაში და ბოსელაში. ზემოთ ნათელაშის დამატებელია „კრიკინა ლელე“, სადაც დღესაც ვხვდებით ველურ ვაზს, რომელიც მოუვლელობით გადაგვარებულია და წვრილ ნაყოფს (მტევანს) ისხამს. დამოუკიდებელ და კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ წედურები დიდი ხნის

განმავლობაში. კმაყოფილი იყვნენ თავისი ცხოვრებით, მაგრამ შემდგომში ასეთი ცხოვრების შენარჩუნებას დასტირდა ბრძოლ თავადაზნაურობის წინააღმდეგ. თაბადები და ასნაურები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ყმები ჰყოლობდათ და მაღან შემოსავალი მიეროთ. ამ მიზნით წერეთელს დაუგეგმია წედისის დაპყრობა და მათზე ბატონობა. წედურები ბატონობას გამოქცევიან ქართლიდან და ახლა, როცა თავისუფლებას მიეჩვინენ, ცოცხალი თავით არ დანებდებოდნენ და არავის ყრმებიარ გახდებოდნენ. წერეთლის განზრახვა გაუგიათ სოფელში, სოფლის თავისუფლებას გადაუწყვეტიათ, რომ ბავშვები, ქალები და მოხუცები სოფლიდან დიდი მანძილის დაშორებით გაეხიზნათ ტყეში. გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი. ამ ადგილს დღესაც ნახიზნავი ჰქვია. სოფელში დარჩენილი ვაჟაცაცები ემზადებოდნენ ბრძოლისათვის. იმ დროს სოფელში ერთადერთი შესასვლელი იყო ხიანიდან. იცოდნენ, რომ წერეთელი ამ გზით მოევიდოდა. ხიანში დიდრონი ხები მოუჭრიათ, ჩაუხერგავთ გზა, რომ ცხენოსნები არ შესულიყვნენ. ამიტომა, რომ ამ ადგილს დღესაც "ხიანი" ქვია ე.ი. ხებით ჩახერგილი. მისასბლელის ყველა კუთხე – კუნჭული გაამაგრეს და განლაგდნენ საბრძოლო მზადყოფნაში. წერეთლის გამოჩენაზე გიორგი მაისურაძეს გადაუძახნია "შენ წერეთელიდა მემაისურაძე აპა ჰე – ო." და დაუწყიათ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. ამ ბრძოლაში წედურები გამოსულან გამარჯვებული, ხოლო წერეთლის მხრიდან ვინც ცოცხლები გადარჩნენ უკან დაბრუნებულან. წედურებმა და მათმა თავისუფლება კარგად იცოდნენ, რომ ამით საქმე არ დამთავრდებოდა, ამიტომ თადარიგი დაუჭრიათ და ყველა ადგილებში გუშაგები დაუყენებიათ, უცდიდნენ შემდეგ შემოტევას. წერეთელს ჯარი გამოუთხვია მეფისაგან ამ ურჩი "ველური" ხალხის ასალაგმავად. საფუძვლად ის დაედო, რომ წედურები ტყებში ჩეხავენ, ანადგურებენ, თუ ასე გაგრძელდა მალე ჩევნ ტყე არ გვექნება. მეფისათვის ასეთი შინაარსის წერილი მიუწერია: წედისში ისეთი "ველურები" ცხოვრობენ, რომ დილიდან სალამომდე ტყეში მუშაობენ, ხეებს ჭრიან, სალამოთი მოუკიდებენ ცეცხლს და წვავენო. ეს მართლაც ასე იყო. ტყეს ჭრიდნენ და ნახშირისათვის წვავდნენ. ვინაიდან მათ დიდი რაოდენობით ჭირდებოდათ ხის ნახშირი ფოლადის გამოსადნობად და შემდეგ სხვადასხვა იარაღის დასამზადებლად. მეფეს წერეთლისათვის ჯარი მიუცია, ჯარათან ბრძოლა რა თქმა უნდა გაძნელებიათ. გადაწყიტეს უკან დახევა და სოფლის თავში ჭომიქედში ასვლა და იქიდან ბრძოლა. ეს ადგილი მოხერხებული იყო იმ შემთხვევაში თუ ცეცხლმსროლელი იარაღი ექნებოდათ მაგრამ მათ მარტო ხმალ – ხანგალი ჰქონდათ. წერეთელმა სოფელში შეაღწია. ცხენები ჰურის ყანებში გაუშავა საძოვრად თვითონ კი მიდგნენ და ყველა სახლი დაწვეს უკლებლივ. ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მომხდარა. ამიტომ რაჭაში ხნიერ ადამიანზე იტყოდნენ "მაგას წედისის დაწვა ემახსოვრება – ო". გადმოცემის თანახმად ერთჯერ კი არა ორჯერ არის დამწვარი. ეს წებირსიტყვიერება შეიძლება სარწმუნოდ თუ ტოპონიმიკას მოვიშველიებთ. ამჟამინდელი წედისიდან,

რამდენიმე კილომეტრის დაშორებით სამხრეთ – აღმოსავლეთ მხარეზე არის ყანები, რომელსაც დალთებს ეძახიან. დვალთის ერთერთ მონაკვეთს ნასოფლარი ჰქვია. ეს ადგილი ბოსლის დელესთან ახლოს გზის ქვედა მხარეზე მდებარეობს. გზის ზედა მხარეზე არის პატარა ვაკე ადგილი სადაც ამჟამად საყდრის ნანგრევებია, ნანგრევების წინ წილის ორი ხე დგას. აღნიშნულ ხეზე ახლაც სანთლებს ანთებენ და ილოცებიან. ამ ცალოცავს "უნდებენ" იონენათლისმცემელს. იონენათლისმცემლის აღმოსავლეთით არის ხევი, რომელსაც სამჭელო რუს ეძახიან. ჩანს აქ მჭედლები იარაღს ჭედავდნენ. სამჭედლო რუდან კიდევ აღმოსავლეთიც არის ხევი სახელწოდებით "როდინახუ" ამ ხევში ნიორისა და კვაბითესლის სანაყავ ქვებს იღებდნენ. როდინახუს ცოტა ზემოდ არის ოდნავ ვაკე ადგილი "გალავნიზურგი" გალავანი სოფ. წედისში ამჟამადაც არის სადაც ჭიდაობა იმართება ხოლმე. ჩანს გალავნიზურგზედაც საჭიდაო გალავანი ყოფილა იმ დროს როცა ნასოფლარში სოფელი არსებობდა და ხალხი ცხოვრობდა. ყოველივე აღნიშნულიდან ჩანს სოფლის არსებობა, არავინ იცის რომელი წედისი უმაღ შეიქმნა ამჟამინდელი თუ დვალთებში არსებული. ყოველივე ზემოთ ნათქვამი მიგვანიშნებს, რომ წედისის დანვა ორჯერ მომხდარა. მართალია წედისი წვავდნენ ფერფლად აქცევდნენ, მაგრამ ხალხის დამორჩილება და მათი ყრმობა ვერ მოახერხეს ისეთმა ძლიერმა თავადებმაც კი როგორიც წერეთელები იყბნენ. ისე ჩაიარა საქართველოში ბატონყმობამ რომ წედურები არავის ყრმები არ ყოფილან. წედურებს დღესაც ძვალსა და რბილში, სისხლში აქვთ დაუმორჩილებლობა და მათი სიამაყის დიდი გრძნობა, თავისუფლების სიყვარული, გულადობა და ვაჟაცობა, არა მარტო კაცებს არამედ ქალებსაც. ისტორიაში გიორგი მაისურაძე და მისი ძმა შესული არიან, როგორც ქედმოუხერელი გმირები ბატონყმობის და კოლონიზაციონების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კოლომეურნეობის ჩამოყალიბება წედისში. 1929 წელი სსრ კავშირში ითვლება გარდატეხის წელიწადად. ძირითადად სოფლის მმრომელებმა პირი იბრუნეს კოლმეურნეობისაკენ. კოლექტივის პირველად არტელს ეძახდნენ, შემდგომ კი დაარქვეს კოლმეურნეობა. კოლმეურნეობაში, რომ თავისი უძრავ მოძრავი ქონება, რომ გაეერთიანებინათ ამაზე წინააღმდეგი იყვნენ. ერთი ასეთ საფუძველს უდებდნენ "მე ყანებს ვყიდულობდი და ახლა ამას გავუერთიანო ვინზ მომყიდაო? მეორენი იძახდნენ "მე გუთანი მაქვს




სოფელი წედისი ჭალეების წყალი

სანიავებელი მანქანა და სხვას გავუერთიანო՞” მესამენი ასეთ პრეტეზიას აცხადებდნენ “მე კარგი ხარები მყვანან, თანაც ორი უღელი და ეხლა ესენი სხვას გავუერთიანო՞” აღნიშნულს და მრავალ სხვა საკითხებს აყენებდნენ კრებაზე, რომელიც მეტ წილ შემთხვევაში ჩხუბს და აურზაყრს იწვევდა. ხელითაც კი ეხებოდნენ ერთიმეორეს. რაიკომიდან აღმასეყომიდან მოვლენილი წარმომადგენლები იძულებულნი ხდებოდნენ უშედეგოდ დაბრუნებულიყბნენ რაიონში. ასეთი სურათი გრძელდებოდა 1933წლამდე. 1933წლში ისრაილმა კომიტეტმა წედისში შექმნა “პარტიული უჯრედი, ასე ეწოდებოდა მაშინ “პირველად პარტიულ ორგანიზაციას”. შემდგომში ე.ი. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდა “ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაცია.” “პარტიული უჯრედის” ერთეული აქტიური წევრი იყო მაისურაძე ირაკლი ალექსის ძე, რომელსაც დაევალა მისი ხელმძღვანელობა. პარტიული უჯრედის წევრებიდან უნდა ავლინიშოთ: 1) გიორგი გიორგის ძე მაისურაძე, 2) გიორგი ლუკას ძე მაისურაძე, 3) ვასილ მალაქიას ძე მაისურაძე, 4) ერასტი თედორეს ძე მაისურაძე, 5) პარმენ რევაზის ძე მაისურაძე, 6) ლევანტი პეტრეს ძე მაისურაძე. ამ შვიდეულმა შესძლეს ხუთი ოჯახის გადმობირება და შეაყენეს “არტელი” 12 ოჯახის შემადგენლობით. თუ რამე კარგი მინები არსებობდა წედისმი მთავრობამ მათ გადასცა. შრომა ძალიან მძიმე იყო, დღედაღამე არ ეძინათ, ასე შრომობდნენ და შედეგიც კარგი იყო შრომისა. ერთ წელიწადს შრომა დღეზე 12 კილოგრამი პური ნაწილდებოდა. მიტომ იყო,

რომ არტელს პატარა უკრაინას ეძახდნენ. არტელში ორი სამი ოჯახის გარდა ყველა შეძლებული იჯახები იყო და ერთპიროვნული გლეხები “კულაკების არტელს ეძახდნენ” ბოლოს დაბოლოს ყველას შეგნებამდე დავიდა, რომ საკოლმეურნეო წყობა გარდაუცალი იყო და ამიტომ გაერთიანდნენ წედისის კოლმეურნეობაში. დაისვა საკითხი რა უნდა დარქმეოდა წედისის კოლექტივს. ხალხმა ერთხმად “ქვანითელი დაასახელეს”. ეს არჩევანი ჩექმნა ქვანითელის ძირში რეინის მაღნის მაღაროს არსებობამ. დიდი ხნის განმავლობაში ერქვა ქვანითელის კოლმეურნეობა. შემდეგ რაიკომის წარმომადგენლებმა კოლმეურნეობის საერთო კრებაზე განაცხადა: ამხანაგებო! ქვანითელი ძირის შინაარსი ყველამ ხომ არ იცის და ამიტომ საჭირო იქნება კოლმეურნეობის სახელნოდების შესვლა. იმ დღიდან იწოდებოდ წედისის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობად

- მაისურაძე, ალექსანდრე — სამხედრო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი
- მაისურაძე, გიორგი — საბჭოთა კავშირის გმირი
- მაისურაძე, ივანეს ძე — ფერმწერი
- მაისურაძე, ელიზბარ — მწერალი
- მაისურაძე, ზაქარია — ანატომი
- მაისურაძე, ზაქარია პეტრეს ძე — მხატვარ-კერამიკოსი
- მაისურაძე, თენგიზ — მსახიობი
- მაისურაძე, კოსტა — ფალავანი

- ◆ „მხოლოდ დაწოქილ ლოცვას ისმენენ დმერთები.“
- ◆ „თავიდან ყველაფერი ძნელია.“
- ◆ „ადამიანი მიწის შვილია და დედას რომ მოსწყდება, ყველა და ყველაფერი დედინაცვლად ექცევა.“
- ◆ „არავინ იცის, ადამიანები გულწრფელად როდის ტირიან ან იცინიან, მაგრამ ვინც დარდისგან გასიებული ცრემლებს ჩუმად ყლაპავს, გწამდეთ, მეგობრებო! ის მართლა ტირის“
- ◆ „ბევრი ვაკეთე და ვაშენე, მეყოფა, ანი სხვებმა აშენონ და აკეთონო, რომ იტყვი და ხელებს დაიბან იცოდე, იმ დღიდან ანგრევ, თუ რამე აგიშენებია.“
- ◆ „ოფლისა და სისხლის დაუღვრელად დამოუკიდებლობა არავის დაუმკვიდრებია.“
- ◆ „ჭკუა თავშია და არა ხანში.“
- ◆ „მე შენ გეტყვი, მდიდარი ენა არ გვაქვს, თუ სიტყვები გვაქვს საძებარი?! ეგ გვაქვს და ფასი არ ვიცით ამ საგანძურის. „ვეფხისტყაოსანში“ რაც სიტყვებია, არ გვყოფის საწერად და სალაპარაკოდ?! რასაც ის არ ხმარობს, ჩვენ რატომ ვხმარობთ, თუკი იმ გენიოსს არ დაჭირვებია?!“
- ◆ „ვისაც ერთი ძირი ხე არ დოურგავს, ის ჩრდილში არ უნდა შეუშვა, სულ პაპანაქებაში უნდა არონიო.“
- ◆ „მგონია, ადამიანი იმაზე ადრეც კი, სანამ ანბანის სწავლას დაიწყებდეს, რაღაცისთვის უკვე მოწოდებულია და მერე ოჯახი, სკოლა და ინსტიტუტი მასში მხოლოდ იმას ზრდიან, რისთვისაც ის გაჩნდა.“



**ოტია  
იოსელიანი**

# ქადაგის მეური, წერი ქადა.

ვ მ ღ მ ხ ე მ ი დ ი

ვარდობის თვეა. ბალში ვარდებს მზის გვირგვინი ადგას და ცისა და მიწის სადიდებელს ღალადებენ, მწვანე ბალახზე მზის სხივი მოკრძალებით ეცემა. ყვავილთა ჭარი ფრინველთა გუნდს შერწყმია და რაღაც კარგი ამბის გასახმოვანებლად ემზადებიან. გოგოა, გოგო.

— იძახის ბებია ქალი. ვარდობის თვის მიწურულს ქალის გაჩენა ერთგვარ ბედნიერებას ნიშნავს, ორ დღეში ცხელი ზაფხული იწყება, მოძლიერდება და ზამთარს უკვე წამოზრდილი შეხვდება. ეუბნებიან ერთმანეთს და თან ახალშობილს აწესრიგებენ. მაია დაარქვეს, საოჯახო სათათბირომ ასე გადაწყვიტა.




ემ კარტობის ფოს კარტებით კონკურსი,  
კარგი თანაბა...  
გალაკტიონ ტაბიძე



მას შემდეგ გოგონა გარეგნობითა და ნიჭიერებით ტოლს არგის უდებდა. განსაკუთრებით მათემატიკა მოსწონდა. სკოლაში უოველთვის აქტიური იყო. პირდაპირობითა და სამართლიანობით გამოირჩეოდა. ამასობაში ჩვიდმეტმა წელმა განვლო. მაიამ ივ.

ჭავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. ძნელად წარმოსადგენია, დღევანდელ თაობას ისე გაუგოდა აულო ალლო მათ ლოგიკასა თუ აზროვნებას, როგორც ამას მაია ახერხებს, უგელა მოსწავლეს განსაკუთრებულად უყვარს, მომთხოვნიც არის, მკაცრიც და მეგობრულიც. მოსწავლეებს მისი ერიდებათ, უყვართ და პატივს სცემენ. მაია სამაგალითო მეგობარი, კარგი შვილი და უერთგულესი დაა. შესაშური დედმამიშვილობა აქვთ. მისი ერთადერთი დაიკო მანანა ისტორიკოსია. მათი საზრუნავი მხოლოდ მშობლები და ერთმანეთის კეთილდღეობაა.

ვულოცავთ მაიას დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჭანმრთელობას, მრავალი ვარდობის თვის მომსწრე ყოფილიყოს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. მრავალუამიერ, ჩემო მაია!



# ლეჩებულებული საუცხო


1918 წლის 26 მაისს ქართველა ხალხია დამოუკიდებლობა იზება, საქართველო ახალ ცხოვრებას იცხობდა. თუმცა ხანოკლე აღოჩნდა მისი დამოუკიდებლობა.

1921 წლის რუსთის მიერ ანექსიის შემდეგ ეპვთიშვილია საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამომბლო და განდს მათვალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზულება მთავრობამ თან ნაიღო საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმის დაცული ქვირფასეულობა: მართ-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტი მომზალი სხვა საგანძური, ქვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან ხამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მისაკუთრებულ საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ვაძლიშვილივად განძის ეპვთიშვილ თაყაიშვილი მაურველობა. განძის უსლ 39 ყუთი იყო, ეპვთიშვილი იგი მარსელის განძი ჰანაზული. განუხომებულია ეპვთიშვილის თაყაიშვილის ლვანლი ქარველი ერის საგანძურის გადარჩენის საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ეპვთიშვილის თაყაიშვილისა დაუგრუნდა ეროვნული საუნავე.

შურნალი „რაჭველები“ პერიოდულად გიამბობათ ეპვთიშვილის მიერ დაპრუნებული საუნავე.

## თამარის ჯვარი


X-XIII საუკუნეები ერთიანი ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანად ითვლებოდა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა დღეს უკვე ხელოვნების ნიმუში, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი ხობის მონასტრები ინახებოდა. ბაჯალლო ოქროს ჯვარი შედგება ოთხი თლილი ზურმუხტისაგან, რომელთა კიდეებზე და ცენტრში ხუთი მსხვილი ლალია ჩასმული;



ჯვრის მკლავებს შორის მარგალიტებია დამაგრებული. ჯვრის ზურგზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინწარძლომითა ყოვლა-დვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“. აგრეთვე შემორჩენილია ჯვრის სასვენებელი ოქროს ორკარედიანი კიდობანი, რომელიც ძვირფასი ქვებითაა შემკული. კიდობანი თამარ მეფის ბრძანებით დაუმზადებიათ.

## მ. მამა

მ. მამა — კესარიელი წმინდანი, აწამეს 275 წელს. იგი ღვთისმოშიშ, ღარიბ ოჯახში დაიბადა. ჭაბუკი იყო ბუნების წიაღში გაზრდილი, ირმების მიერ გამოკვებილი, მხეცების მეგობარი მწყემსი. ქრისტიანობის აღიარების გამო მხეცებს მიუგდეს საჯიჯგნად, მაგრამ მხეცები მას არ მიეკარნენ, არ მიეკარა ლომიც კი. ამის შემდეგ ჭაბუკის ლახვარით მიაყენეს სასიკვდილო ჭრილობა, იგი



წამებით გარდაიცვალა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ლოცვა და უფლისადმი ვედრება. საქართველოში, როგორც ჩანს, ადრეული ხანიდანვე წმ. მამა ერთ-ერთი გამოჩენილი წმინდანი იყო. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება გელათიდან წამოღებული ვერცხლის დისკო, რომელზეც გამოსახულია ლომზე მჯდარი წმ. მამა. წმინდანს მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს, როგორც სიმბოლო მონამეობისა, მარცხენა კი ზევით აქვს ანეული. წმინდანის ფიგურა შესრულებულია მაღალ რელიეფში. დისკო X-XI სს.

## საგანძური

განეკუთვნება და რელიეფური პლასტიკის საუკეთესო ნიმუშია. წმ. მამას კიდევ ერთი საუკეთესო გამოსახულება შემორჩენილია XII-XIII სს. ხელნაწერში, რომელიც წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ნანარმოებთა კრებულს წარმოადგენს. მინიატურა მოთავსებულია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის „ახალკვირიაკისათვის და არისა და ენენისათვის“ სიტყვის წინ. 406 გვერდზე გამოსახულია ლომზე მჯდარი წმ. მამა; მინიატურაში ხაზგასმულია გაზაფხულის მოსვლა. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვის ბოლო ნაწილი შეიცავს მითითებას წმ. მამას ცხოვრებაზე.

### ვახტან VI, სამართლის წიგნი, XVIII საუკუნე

ჩვენი საეკლესიო სამართლის გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ საეკლესიო კრებას, რომელზეც გამოჰქონდათ დადგენილებანი. ყველა კრების დადგენილება დღემდე არ შემონახულა, მაგრამ დღესდღეობით არსებობს ორი დოკუმენტი: რუსი-ურბნისის კრების ძეგლისწერა და საკათალიკოსო კანონები, XVI საუკუნეში იმერეთის საეკლესიო კრებაზე მიღებული.

საეკლესიო სამართლის იურისდიქციას ექვემდებარებოდნენ ჩვენში არა მარტო სასულიერო-საეკლესიო საქმეები და



პირები, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულებები. სამოქალაქო კანონმდებლობის ჩამოყალიბების სურათს იძლევა დოკუმენტები, საისტორიო საბუთები, მეფეთა თუ დიდებულთა, სასულიერო თუ კერძო პირთა მიერ გაცემული წყალობის, ნასყიდობის, შენირულობის, ორი მხარის უფლება-მოვალეობის ამსახველი სიგელ-გუჯრები.

მოგვიანებით XVIII საუკუნეში საეკლესიო-სამოქალაქო კანონ-მდებლობის აქტები დაამუშავა, კანონმდებლობის სახე მისცა და ერთ კრებულად წარმოადგინა ვახტანგ VI -მ თავის „სამართლის წიგნში“.

### ვეფხისტყაოსნის

#### ხელნაწერი

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის განსაკუთრებუ-



ლი ადგილი უჭირავს ლიტერატორისა და კალიგრაფის, მდივან ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ შესრულებულ ხელნაწერს. თანიაშვილი მეფე გიორგი XI-ის კარზე მოღვაწეობდა, სწორედ მან დაუკვეთა 1680 წელს „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა. წიგნს ერთვის ბეგთაბეგის ანდერძი: „წარიგო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი ელოვანებასა ამის წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილშვენიერ ყოფილიყო, რომელ არსცა ფრიად კეთილ

და შუენიერი, თუინიერ ხოლო ნაწერისაგან კიდეო“. წიგნი მდიდრულადაა მორთული, ყოველი გვერდი სწორულთხმა ჩარჩოშია ჩასმული, ჩარჩოს გარეთ ორნამენტებით დაფარული არშეიბია, სადაც გამოსახულია ფოთლები, ყვავილები, ფრინველები და ცხოველები.

### საეკლესიო მინიატურა

საქართველოში არსებობს მრავალი ილუსტრაციით და ორნამენტული მოტივებით შემკული ხელნაწერები. გულანი საეკლესიო საკითხავებისა და ლოცვების კრებულია, ისინი ნუსხური ასოებით დაწერილი უზარმაზარი ფოლიანტებია. ჟამნ-გულანი ორიგინალური კრებულია და მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს. ამ ტიპის ხელნაწერებიდან ერთ-ერთი გამორჩეულია ყანჩაეთის ჟამნ-გულანი, იგი გადაწერილია 1674 წელს ონთფრე მთიულის მიერ ურბნისის ეპისკოპოსის ევდემონ რატიშვილის ბრძანებით. ხელნაწერი ჩასმულია ტყავის ყდაში, მასში 60 მინიატურაა, მათგან ბევრი დაკარგულია.



ცალკე გამოსახულია დამკვეთი ევდემონ რატიშვილი. საინტერესოა, იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ილუსტრაციების ციკლი სამყაროსა და ადამიანის შექმნის თემაზე.

**დავით კიკოლაშვილი**

# რა არის ნიცაელებარე ჯირქვლის ანთეპის პროსტატის და როგორ ვუმერნალოთ მას?

ფიზოთერაპეტი

თამარ ისამილი



წინამდებარე ჯირქვლის ანთეპის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ბაქტეოროლოგიური ინფექცია, რომლის წარმოქმნელიც იჭრება წინამდებარე ჯირქვალში შარდასადინარი გზით, ან სისხლის წარმოქმნის და ლიმფური გზების საშუალებით სხვა ორგანოთა ანთეპითი პროცესის დროს.


ავადმყოფობის განვითარებას ხელს უწყობს გაცივება, შარდის გამოყოფი გზების დაზიანება კათეტერიზაციის დროს, ენდოსკოპიული გამოკვლევა, სისხლის და ლიმფის მიმოქევის დარღვევა, ჰორმონალური დარღვევები მცირე წელის არეში.

განასხვავებენ პროსტატის ორ სახეს: მწვავეს და ქრონიკულს.

**მწვავე პროსტატის დროს** ავადმყოფს ალენიშნება ტკივილი. შარდის გამოყოფის გახშირება ან გაიშვიათება, პერიოდულად შარდში ჩირქის ნარევის არსებობა.

მწვავე პროსტატა შეიძლება გამოიხატოს წინამდებარე ჯირქვლის შესივებით. ამ დროს ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად უარესდება, აღნიშნება ტემპერატურის ანევა 38-40 გრადუსამდე.

მკურნალობა საჭიროა ჩატარდეს ექიმ-სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ. ამასთან, რეკომენდირებულია მკურნალობა მიმდინარეობდეს წოლითი რეჟიმით, ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების გამოყენებით, როგორიცაა სულფანოლამინები და ნიტროფულარონილის პრეპერატები. როგორც წესი, მიკროფლორის მგრძნობიარობის მიხედვით ენიშნებათ მჯდომარე თბილი აბაზანები (37-38 გრადუსიანი წყალი) 10-15 წუთის განმავლობაში. ანტიპირინის თბილი ოყნები (0,5-1 გრ 100 ლ. წყალზე). ბელადონას ექსტრაქტის სანთლები, შარდის შეკავების დროს აზდენენ შარდის ბუშტის კათეტერიზაციას მის არეში, ანტიბიოტიკების შეყვანით. დროული მკურნალობის შემთვევაში შედეგი ხშირად დადგებითია, წინააღმდეგ შემთვევაში ადგილი აქვს ქრონიკული პროსტატის წარმოშობას.



ქრონიკული პროსტატის დროს ავადმყოფი გრძნობს ყრუ ტკივილებს, ბოქვენის ზედა და შორისის არეში, პერიოდულად გამოყოფა ჩირქოვანი ლორნო შარდის გამოყოფი არხიდან, ახასიათებს ტკივილები სქესობრივი აქტის შემდეგ. ხანდახან ხშირდება შარდის გამოყოფა და დროზე ადრე სპერმის დაღვრა. დიაგნოზის დადგენა ხდება თითით გასინჯვისა და მასაჟის შემდეგ გამოყოფილი სეკრეტების შესწავლით.

ქრონიკული პროსტატიტის მკურნალობას საფუძვლად უდევს ანტიბაქტერიალური თერაპია, პრეპარატები შეირჩევა მიკროფლორის მიხედვით. ანტიბაქტერიალური თერაპიის ფონზე საჭიროა გაკეთდეს წინამდებარე ჯირქვლის მასაჟი და თბილი მიკროყნები (100ლ. წყალზე 40-41 გრადუსზე გაცხელებული გვირილასა და სალბის აბაზანები) ფიზოთერაპია.

წინამდებარე ჯირქვლის მასაჟი ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევას. ავადმყოფობის ხანგრძლივობის შემთხვევაში რეკომენდირებულია ტალახის ტამპონები.

გართულებამ შეიძლება გამოიწვიოს სქესობრივი ფუნქციის დარღვევა.



**რა ვუშველოთ წინამდებარე ჯირქვლის ადენომას?**

დადექით, სკამთან ახლოს, ხელი მოკიდეთ მის ზურგს ან მაგიდის კიდეს, ფეხები გადგით მხრების სიგანეზე, ოდნავ მოხარეთ მუხლები და აბრუნეთ მენჯი ღერძის გარშემო ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მიმართულებით, ეს ვარჯიში შეასრულეთ რამდენჯერმე დღის განმავლობაში, ისე, რომ ბრუნვათა საერთო რაოდენობამ ასს მიაღწიოს. ეს ვარჯიში აძლიერებს სისხლის მიმოქცევას მცირე მენჯის არეში. მათ შორის წინამდებარე ჯირქვალშიც. ასეთნაირად ხდება გამაჯანსაღებელი მოქმედება ჯირქვალზე.

**დამატებითი ვარჯიშები:** ჩაჯდომები, ფეხების ანევა სხვადასხვა მიმართულებით, ფეხების გაშლა და მიღმა მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში. გარდა ამისა, დაიცავით დაბალკალორიული დიეტა. მიიღეთ შეუზღუდული რაოდენობით ახალი ხილი და ბოსტნეული. უარი თქვით ხორცზე და მარილზე, მკვეთრად შეზღუდეთ ტებილეული, ცომეული, ცხიმები. რეკომენდირებულია 30 წუთიანი ყოველდღიური სირბილი, სუნთქვითი ვარჯიში, გრილი წყლის გადავლება. ვარჯიშების ხანგრძლივობა — არანაკლებ 3 თვე.

აღსანიშნავია, რომ დასალევი ნაყენით მკურნალობაც ეფექტურ შედეგს იძლევა.

# გილოზის კულტურული



# ՅԱՀԱԿԱՑԱՅԻ ԳԱՅՈՒՄ ՀԱՅՈՍՏԱՆԻ ՈՒԽՈՅՆԵՐ

